ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 5 დეკემბერი, 2018 №288 (7833) ფასი: 60 თეთრი

რატომ არ მოითხოვს საქართველოს მთავრობა სააკაშვილის დაპატიმრებასა და გადმოცემას?

გვ.5

6 დეკემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



რა გახდა ნიკა რურუას გარდაცვალების მიზეზი

გვ.3

ივანიშვილი ზურაბიშვილს ავიწროებს

გვ.2

რატომ აუქმებს „ოცნება“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს

გვ.2

ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები აუცილებელია

რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილი ცქიტიშვილს ენდობა და „ქართული ოცნების“ გუნდში მე ვიტყვი, რომ ნამდვილად კარგი სახეა. ამიტომ მაია ცქიტიშვილი შეიძლება კი არ ქვეითდება, პირიქით, წინაურდება“

გვ.3

სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია ერეკლე მეფის სასახლეში გაიმართება?

ნიკა ვარდოშვილი: „არა მგონია, მეფეს იმ ხალხის დანახვა გაუხარდეს, ვინც თელავს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი წაართვა“

გვ.3

ემზარ კვიციანი: „ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გააყალბა“

გვ.6

მამუკა არეშიძე: „ნაციონალებმა აქციაზე ბევრი ხალხი შეგნებულად არ გამოიყვანეს“

სუს-მა ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის საქმეზე „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე დააკავა

გვ.7

სამართალი

გვ.7

სოფელ ფოკაში მოკლული მამაკაცის თანასოფლელებმა მკვლელობაში ბრალდებულს სახლი და ავტომობილები დაუწვეს

ლუკა ჩხეტია: „დამალვას არ ვაპირებ, ჩემი და ჩემი უკრაინელი ძმების სიმართლე მინდა დავამტკიცო“

სიმიონ სემენჩენკო: „როდესაც უკრაინაში იყო პროტესტი, უკრაინელებს ქართველებით აშინებდნენ, ახლა ქართველებს აშინებენ უკრაინელებით“

ISSN 1987-9385

4 „მე დიდი ეჭვით ვუყურებ იმ ადამიანებს, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარეები იყვნენ“

5 ნატოს მინისტერიალში საქართველოც მონაწილეობს

4 კახა გოგოლაშვილი: „ახლა უფრო გაბედულად ვუჭერთ მხარს საერთაშორისო უსაფრთხოებას“

7 მირზა სუბელიანის საქმის განხილვა გადაიდო

ნათია ხურცილავა

ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები აუცილებელია

რამაზ საყვარელიძე: „ივანი შვილი ცქიტი შვილს ენდობა და „ქართული ოცნების“ გუნდში მე ვიტყვი, რომ ნამდვილად კარგი სახეა. ამიტომ მაია ცქიტი შვილი შეიძლება კი არ ქვეითდება, პირიქით, წინაურდება“

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მთავრობაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე და არჩეული პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსების შეზღუდვაზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, ინფორმაცია ვრცელდება მთავრობაში უახლოეს მომავალში საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. საუბარია ლევან იზორიაზე, მაია ცქიტიშვილსა და ივანე მაჭავარიანზე. არჩევნების წინა პერიოდში ივანი შვილმა პარტიის გადახალისებაზე ისაუბრა. მთავრობასაც შეიძლება, ცვლილებები შეეხოს?

– თქვენ მიერ ჩამოთვლილი მინისტრებიდან ლევან იზორია არის ძველი ფიგურა, დანარჩენი ახლად დანიშნულები არიან. სანამ მინისტრის კომპეტენცია არ გამოჩნდება, იქნება თუ არა ის წარმატებული, მანამდე სწორი არ მგონია, ახლად დანიშნული გაათავისუფლო, მაშინ რატომ ნიშნავ?! შეიძლება, მინისტრი დანიშნო, გარკვეული პერიოდი გამოცადო და მერე ან გადაიყვანო, ან გაუშვა საერთოდ. ეს უფრო ლოგიკური მგონია. იზორიას გარდა, დანარჩენების შეცვლა ამ ლოგიკით ჩემთვის გაუგებარია.

– გამორიცხავთ, რომ ახლა ივანი შვილის ამოცანა სწორედ ეს არის, რომ რაც შეიძლება მეტი საკადრო ცვლილება განახორციელოს მთავრობაში და ეს იყოს მისი გზავნილი ამომრჩევლისადმი?

– სწორი ლოგიკაა, მე გეთანხმებით, არჩევნების მერე ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება შეიძლება ეს არის, რომ ამით საზოგადოებისადმი სწორი მესიჯები გააგზავნო, რომ გულხელდაკრეფილი კი არ ზიხარ, არამედ გზებს ეძებ, ყველა ღონეს ხმარობ უკეთესის მისაღებად, მაგრამ ლოგიკური არ მგონია იყოს ახლად დანიშნული მინისტრის გაშვება.

თქვენ მიერ ჩამოთვლილი მინისტრები სრულიად სხვადასხვა მიმართულებებს კურირებენ, რომ იყოს, მაგალითად, ეკონომიკურ ბლოკზე საუბარი, თუმცა, ეკონომიკური ბლოკი სულ ახლახან შეიცვალა, ამიტომ არ მგონია ამ მიმართულებით იყოს საუბარი.

ისე, ზოგადად საკადრო მიმართულებით გადაწყვეტილების მიღება სასურველია. ეს გადაწყვეტილება უფრო ორიენტირებული უნდა იყოს პროფესიონალიზმზე და არა სხვა მიმართულებით.

არჩევნების შემდეგ საკადრო ცვლილებები წამყვანი თემა რომ იქნებოდა, ეს ივანი შვილმა თავად გვითხრა. ამ ფონზეა მოსალოდნელი ეს ცვლილებები, თორემ არჩევნებამდე არ ყოფილა არანაირ საკადრო ცვლილებებზე საუბარი. ისე, არჩევნების წინ მსგავს გადაწყვეტილებებს არ იღებენ ხოლმე, ასეთი ცვლილებები არჩევნების შემდეგ ხდება.

რაც შეეხება ლევან იზორიას, არ გამოვრიცხავ, რომ აქ მოხდეს ცვლილებები, მაგრამ გაუგებარი იქნება მაია ცქიტიშვილის გადაყენება. გაუგებარი იქნება, რატომ უნდა მოხდეს ეს ცვლილებები.

– გამორიცხავთ, რომ პრემიერად გადადიოდეს? ივანი შვილი ხომ ყველაზე მეტად სწორედ ცქიტი შვილს ენდობა.

– დიახ, ივანი შვილი ცქიტი შვილს ენდობა და „ქართული ოცნების“ გუნდში მე ვიტყვი, რომ ნამდვილად კარგი სახეა. ამიტომ მაია ცქიტი შვილი შეიძლება კი არ ქვეითდება, პირიქით, წინაურდება. თუმცა, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული რთული სათქმელია. ხშირად საკადრო პოლიტიკა მარტივად მისაღები გადაწყვეტილება არ არის. ეს ბევრ რამეზეა დაფუძნებული.

– არჩევნების წინ ის ვერსიაც გავრცელდა, რომ შეიძლება შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია დაწინაურდეს და პრემიერის პოზიციაზე გადაინაცვლოს. ეს რამდენად არის მოსალოდნელი?

– არაფერი არ არის გამორიცხული. ეს ის საკითხებია, რაც სწორედ არჩევნების შემდეგ ხდება და მსგავსი გადაადგილებები არც პირველია და არც უკანასკნელი. თუმცა დღეს ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებში ჩვენ ძალიან ბევრი გზავნილი შეიძლება ამოვიკითხოთ.

– კონკრეტულად?

– მაგალითად, თუ რას აპირებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მომავალში, რა მიმართულებით გადადგამს ნაბიჯებს, რა სფეროს აძლიერებს და პირიქით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– ბატონო რამაზ, ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციას დაფინანსება ეზღუდება, სარეზერვო ფონდი უქმდება და საშტატო ერთეული მცირდება. თქვენ რას უკავშირებთ ამ ყველაფერს, ეს არის პრეზიდენტის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე ცვლილებები თუ პოლიტიკის ნაწილი?

– გაუგებარია, რატომ გახდა ეს ცვლილებები საჭირო. ეს ცვლილებები პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან არანაირ კავშირში არ არის.

– „ქართული ოცნების“ წევრები ასე ხსნიან.

– და რა კავშირშია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან?! შეიძლება, ეს ვინმემ აგვიხსნას?! ან თუნდაც დაფინანსება?! ძირითადად ქველმოქმედებას ხმარდებოდა ამ ფონდის რეზერვი. რა, ამ მიმართულებით ქვეყანაში რაიმე ცვლილებებია მოსალოდნელი?! ქველმოქმედება აღარ იქნება საჭირო?!

მეორე, „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკურად წამგებიანია, თუ ასე შეზღუდავენ ახლად არჩეულ პრეზიდენტს. თუ მას არც ფინანსები ექნება, არც სარეზერვო ფონდი ექნება და არც საშტატო ერთეული ეყოლება, ეს არ იქნება კარგი არც „ოცნებისთვის“.

რატომ?! სალომე ზურაბიშვილი სწორედ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილია, მათთან ასოცირდება. ის თუ იქნება ასეთი შეზღუდული და, მაგალითად, მოქალაქე მას მიმართავს დახმარებისთვის, თუნდაც ამ სარეზერვო ფონდიდან ვერ დააფინანსებს, ეს ავტომატურად უარყოფით დამოკიდებულებას გამოიწვევს. ამით ხომ დაეცემა როგორც სალომე ზურაბიშვილის, ისე მმართველი პარტიის ავტორიტეტი, რადგან ის უკვე მათთან არის ასოცირებული ამომრჩევლისთვის.

– „ქამრების შემოჭერის“ ვერსია რამდენად შეიძლება, არგუმენტი იყოს?

– ვერანაირად იქნება ადეკვატური არგუმენტი. ისე, თუ უნდათ, იძახონ და იყვნენ, ფინანსებს ვუფრთხილდებითო. თუ ფინანსებს არ მისცემენ პრეზიდენტს ის, საქველმოქმედო საქმეებსაც კი ვეღარ გააკეთებს. ამდენად, ფინანსების შეზღუდვა პოლიტიკურად წამგებიანია „ქართული ოცნებისთვის“.

ახლა „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, რომ სალომე ზურაბიშვილი პირდაპირ მათთან არის ასოცირებული და ის ცალკე ვერ განიხილება. ამიტომ სალომე ზურაბიშვილის წარმატებაც და წარუმატებლობაც პირდაპირ ბმაში იქნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან.

ივანიშვილი ზურაბიშვილს ავიწროებს

რატომ აუქმებს „ოცნება“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს

შორენა მარსაგიშვილი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციის დასაცავი გახდება. გუშინ, 4 დეკემბერს, ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება მცირდება.

ოპოზიცია ამბობს, რომ ივანიშვილი სალომე ზურაბიშვილს ავიწროებს და ცდილობს, ის სრულად გააკონტროლოს.

დაფინანსების შემცირებაზე მედიამ კომენტარი არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადებულ ზურაბიშვილსაც სთხოვა, რამაც ის ძალიან გააბრაზა.

– ნუ დარბიხართ. ვეღარ მიეჩვიეთ, რომ ახლა უკვე პრეზიდენტი ვარ? ცოტა ჩაიწიეთ, – ასე დაიწყო ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მედიასთან საუბარი.

რაც შეეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციის საბიუჯეტო ხარჯებს, ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ამაზე მიმდინარეობს მსჯელობა.

– ეს არის საბიუჯეტო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, შეტანილია ერთი პროექტი, რომელზეც ჩვენ დავიწყეთ მუშაობა, მიმდინარეობს თანამშრომლობა, არავითარი პრობლემა არ არის, – აღნიშნა ზურაბიშვილმა.

გიორგი მარგველაშვილის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ბიუჯეტის შემცირებას პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინების მცდელობას უწოდებს: მისი თქმით, „ოცნება“ წლებია, პრეზიდენტის ინსტიტუტს ებრძვის.

– მთელი ამ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა პრეზიდენტის ინსტიტუტის მიზანმიმართული დასუსტება. ამის კულმინაცია იყო სწორედ ბოლოს უშიშროების საბჭოს გაუქმება და პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაქრობა საქართველოს კონსტიტუციიდან. ახლაც დევს კანონის პროექტი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პარლამენტიდან შემოსული, სადაც პრეზიდენტს დამოუკიდებლად აღარ შეუძლია, სახელმწიფო ჯილდო მიანიჭოს პირს. მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა ჰკითხოს პარლამენტსა და მთავრობას.

ეს პროცესის შეუქცევადად გრძელდებოდა და ახლაც ეს ინიციატივაც კიდევ ერთხელ არის პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტება. ვის შეუძლია იმსჯელოს, პრეზიდენტის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, დაფინანსების რაოდენობაზე, გარდა იმისა, ვინც ამას ახორციელებს.

არავის ეს ჩვენთვის არ უკითხავს და ამ საკითხზე მსჯელობენ ის ადამიანები, რომლებსაც არანაირი შემხებლობა პრეზიდენტის ინსტიტუტთან არ ჰქონათ, – ამბობს გიორგი აბაშიშვილი.

ცნობილი გახდა ისიც, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი საერთოდ უქმდება. აბაშიშვილისთვის ესეც მიუღებელია.

– სარეზერვო ფონდიდან მხოლოდ მარგველაშვილის პრეზიდენტობის დროს 400-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა, რომელიც შეეხებოდა დემოკრატიის ხელშეწყობას, სამოქალაქო ინსტიტუტების გაძლიერებას, სახელმწიფო ინსტიტუტების დაცულობას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სახელმწიფო მოხელეების, სოფლებში ყოფითი პირობების გაუმჯობესებას, სოფლის ბიბლიოთეკების დაფინანსებას, მათ შორის მთელი რიგი სოციალური პროექტების დაფინანსებას. ამ ინიციატივებს პრეზიდენტი მარგველაშვილი ახორციელებდა სწორედ პრეზიდენტის ფონდიდან და ახლა სრულიად გაურკვეველია, შემდგომი პრეზიდენტი როგორ განახორციელებს მსგავსი ტიპის ინიციატივებს, – აღნიშნა მარგველაშვილის ადმინისტრაციის უფროსმა.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის გაუქმებამ გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძეც აღაშფოთა.

მისი თქმით, ხელისუფლება პრეზიდენტის ინსტიტუტს კიდევ ერთხელ აკნინებს. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ მთავრობისთვის მთავარია, სახელმწიფოში არ იყოს კონტროლის მექანიზმი:

– მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ამტკიცებენ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ეს ქალბატონი აირჩიეს, რასაც ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით, მაგრამ ამ ადამიანსაც კი აყენებენ შეურაცხყოფას დასაწყისშივე, ადებენ არტახებს და ჩვარს უჭერთავენ პირში, რომ არ გაბედოს და ხმა არ ამოიღოს, – აღნიშნა ვაშაძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რა გახდა ნიკა რურუას გარდაცვალების მიზეზი

ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ნიკა რურუა გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიაში განუცხადეს, ნიკა რურუა გარდაცვლილი საკუთარ სახლში იპოვეს. გარდაცვალების მიზეზად გულის შეტევა სახელდება.

ნიკა რურუა 50 წლის იყო. ის პარლამენტის მე-6 მოწვევის დეპუტატი და კულტურის მინისტრი იყო.

ახლობლებს ნაციონალური მოძრაობის წევრის, პარლამენტის ყოფილი დეპუტატის ნიკა რურუას გარდაცვალების მიზეზებზე საუბარი უჭირთ.

როგორც რამდენიმე ახლობელმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ნიკა რურუას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ჰქონია.

– არ მახსოვს, რომ ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ დაეჩივლოს. მაქსიმუმ წნევას ან გაციებას თუ შეუწუხებია, – აღნიშნავენ პოლიტიკოსის ახლობლები.

მათივე ინფორმაციით, ნიკა რურუა სახლში დედამ იპოვა, რის შემდეგაც სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახა. ექიმებს რურუა უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნაციონალური მოძრაობის წევრის ნიკა რურუას გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც უწყებაში განმარტავენ, პირველადი ინფორმაციით, ნიკა რურუა ოჯახის წევრების თანდასწრებით, სავარაუდოდ, გულის შეტევით არის გარდაცვლილი.

– მიმდინარე წლის 4 დეკემბერს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრი, კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში (ზანდუკელის ქუჩა №21) გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

„ნიკა რურუა: 10 ფაქტი ჩემ შესახებ, რომელიც არავინ იცის...“

10 ფაქტი ჩემ შესახებ, რომელიც არავინ იცის .....

1. ვარ დიპლომირებული მუსიკის მასწავლებელი;

2. მიმუშავია მუშად და მტვირთავად ამერიკის შეერთებულ შტატებში;

3. ვარ დიპლომირებული, მაგრამ არშემდგარი ტელე-რეჟისორი;

4. ვარ იურისპრუდენციის დოქტორი (ჟურის ოცტორ), რომელი ხარისხიც აშშ-ში მომენიჭა;

5. გადაღებული ვარ რამდენიმე ეპიზოდურ როლში პოპულარულ ქართულ ფილმებში: „იყო შაშვი მგალობელი“, „უძინართა მზე“, „გარსევანი“;

6. პირადად შევხვედრივარ ადამიანს, ვინც იცნობდა საბჭოთა დიქტატორ სტალინს;

7. ვიყავი გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟის იდეის ავტორი და ძეგლის მოხსნის საზოგადოებისთვის ტელევიზიით პირველი გამომცხადებელი;

8. ვარ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის გახსნის იდეის ავტორი და ექსპოზიციის მოწყობის მონაწილე;

9. ვარ დაჯილდოებული გორგასლის ორდენით აფხაზეთის ომში მონაწილეობისთვის;

10. დამეღუპა პირველი შვილი, ჩვენთვის უსაყვარლესი ქეთი, რომელიც დღეს ოცი წლის იქნებოდა და რომელიც დღესაც მიყვარს და არასდროს მავიწყდება“.

ემზარ კვიციანი: „ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გააყალბა“

შორენა მარსაგიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნებით კმაყოფილი არც პატრიოტთა ალიანსია. მართალია, არჩევნები იმ კანდიდატმა მოიგო, რომელსაც ისინი მხარს უჭერდნენ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ არჩევნები უსამართლოდ ჩატარდა. უსამართლობად კი ის მიაჩნია, რომ გრიგოლ ვაშაძემ 800.000-ზე მეტი ხმა მიიღო. უსამართლობით შეწუხებული ალიანსი სიმართლის გარკვევას სამართალდამცავების დახმარებით შეეცდება.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი, პარლამენტის ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს, დაიწყოს გამოძიება ენმ-ის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებზე მიღებულ ხმებთან დაკავშირებით.

– როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, ვითხოვ, საქართველოს პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება ნაციონალური მოძრაობის თითქოსდა 780.000 ამომრჩეველის რეალურობის დადგენის მიზნით. პირდაპირ და მკაფიოდ ვამბობ, ადგილი აქვს პოლიტიკურ აფერისტობას და ამ აფერისტობაში მონაწილეობენ როგორც სააკაშვილ-ბოკერია, ისე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან კონკრეტული თანამდებობის პირები, – აღნიშნა ინაშვილმა.

პარლამენტის ვიცესპიკერის თქმით, ნაციონალურ მოძრობას ერთი და იგივე აქტივი ჰყავს, რომელიც ხან ფილარმონიაშია და ხან პარლამენტის წინ.

– პარტიას თუ რეალურად ჰყავს 780.000 ამომრჩეველი, მის მიერ ორგანიზებულ აქციაზე რატომ მოდის 3000 ადამიანზე ნაკლები? შეუძლებელია, რეალურად გყავდეს 780.000 ამომრჩეველი და შენ მიერ ორგანიზებულ მიტინგზე არ იდგეს მინიმუმ 30.000 ადამიანი.

ყველას ესმის, რომ ასეა და დიდი ფილოსოფია და ანალიზი ამას არ სჭირდება. თანაც დააკვირდით, რომ ნაციონალურ მოძრაობას ერთი და იგივე აქტივი ჰყავს 3.000 კაცის ფარგლებში, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ფილარმონიის დარბაზში და შემდეგ ვხედავთ პარლამენტის შენობის წინ, – განაცხადა ალიანსის ლიდერმა.

მის მოსაზრებას იზიარებს ალიანსის კიდევ ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი. გუშინ, 4 დეკემბერს, მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ

ნაციონალების სასარგებლოდ გაყალბდა არჩევნები და ის „ოცნებამ“ გააყალბა.

– ქალბატონმა ირმამ აბსოლუტურად სწორად აღნიშნა ეს. 2 დეკემბერს ჰქონდათ აქცია ნაციონალებს. ეს იყო სარკე იმისა, რამდენი ამომრჩეველი ჰყავთ მათ და რამდენმა მისცა ხმა.

ვერავის დავეთანხმები, რომ ნაციონალებმა გააყალბეს. არჩევნები გააყალბეს ხელისუფლების იმ სტრუქტურებმა, რომლებსაც ევალებათ არჩევნების ჩატარება. ვეთანხმები ირმა ინაშვილს, აუცილებელია ამის გამოძიება. გამოძიება აუცილებელია, რადგანაც არჩევნებზეა დამოკიდებული ქვეყნის უსაფრთხოება. ხალხის არჩევანი უნდა იყოს ხალხის არჩევანი და არ უნდა ყალბდებოდეს. ამაზე დიდი აფერისტობა, თაღლითობა, ღალატი არ არსებობს, რომ არჩევნებს გაუყალბებ ხალხს, – ამბობს კვიციანი.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რატომ უნდა გაეყალბებინა „ოცნებას“ ყოფილი ხელისუფლების სასარგებლოდ არჩევნები.

კვიციანი მიიჩნევს, რომ ამით „ოცნებამ“ ვიღაცის დავალება შეასრულა. იმ ვიღაცის დავალებითვე იქნა წარდგენილი პრეზიდენტის პოსტზე სალომე ზურაბიშვილი, რომელიც არ იყო მმართველი პარტიის წევრი.

– რატომ უნდა იყოს დაინტერესებული ხელისუფლება გაყალბებით? რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ხელისუფლება თუნდაც იმით, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა დააყენა, რომელიც არ იყო მისი კანდიდატურა. დამოუკიდებელი იყო, როგორც თავად ამბობენ. ხომ დავინახეთ, რომ ჩიხური მდგომარეობა შექმნეს შეგნებულად იმისთვის, რომ ვიღაცის დავალება შეესრულებინათ. ეს არის სახიფათო, რომ უცხოელები, ვისაც უნდა, იმას მოგვიყვანენ ხელისუფლებაში. ნაციონალების სასარგებლოდ გაყალბდა არჩევნები და გააყალბა „ოცნებამ“. ყველა ხედავს ამას, – აცხადებს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

ემზარ კვიციანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ გარკვეულ ძალებს სურთ, მთავარი ოპოზიციური ძალა იყოს ნაციონალური მოძრაობა.

დეპუტატის თქმით, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ალიანსი არ გახდეს მთავარი ოპოზიციური ძალა და მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყნის გარეთ არის მიღებული და „ქართული ოცნება“ ამ დავალებას პირნათლად ასრულებს.

ის სინანულს გამოთქვამს იმის გამოც, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის.

– მათი რჩეული არ იყო სალომე ზურაბიშვილი. მათ ვიღაცამ უთხრა, ეს გააკეთეთო. მათ არ აწყობთ ის, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ იყოს მეორე ძალა. მაშინ „პატრიოტთა ალიანსთან“ ისინი დამარცხდებოდნენ. ჩვენ რომ გვყოლოდა ჩვენი კანდიდატურა, თუნდაც ირმა ინაშვილი, გავიმარჯვებდით, თუ არ გაყალბდებოდა არჩევნები. დავალება აქვთ ასეთი მათ. ვისაც ევალებოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გაეცოცხლებინა, ხომ გააცოცხლეს? ძალით აცოცხლებენ. ამას ვაპროტესტებთ ჩვენ.

ჩვენ არ ვართ თავისუფალი ქვეყანა. ვისგან არის ეს მართული? აიღეთ ჩვენი მდგომარეობა აფხაზეთში. ეს გზა გამოვიარე, ამ ყველაფერში ვიხარშებოდი, ვხედავდი, ვინ იყო ჩვენკენ, რას აკეთებდნენ გაერო, ეუთო, ამერიკელები, რუსები, როგორ იყვნენ ერთმანეთში შეხმატკბილებულები, როგორ ერთმანეთში შეხმატკბილებულად წაგვართვეს ტერიტორიები და გადასცეს რუსეთს, – აცხადებს ემზარ კვიციანი.

სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია ერეკლე მეფის სასახლეში გაიმართება?

ნიკა ვარდოშვილი: „არა მგონია, მეფეს იმ ხალხის დანახვა გაუხარდეს, ვინც თელავს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი წაართვა“

შორენა მარსაგიშვილი

იმ დროს, როცა გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილისთვის ინაუგურაციის ადგილს არჩევს. მათ ინაუგურაციისთვის რამდენიმე ადგილი აქვთ შერჩეული. ერთ-ერთ ასეთ ადგილად თელავში მეფე ერეკლეს სასახლე შეურჩევიათ. ეს, ერთი შეხედვით, უცნაური არჩევანია. სალომე ზურაბიშვილმა ერეკლეს ქალაქში საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ტური წააგო.

რატომ აპირებენ თელავში ამ ღონისძიების ჩატარებას, მოიგებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი თელაველების გულს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნიკა ვარდოშვილი ესაუბრება.

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია ერეკლე მეფის სასახლეში, იმ ქალაქში გაიმართება, სადაც არჩევნების ორივე ტური წააგო. ამით „ოცნება“ და სალომე თელაველების გულის მოგებას ხომ არ ცდილობენ?

– ეტყობა, მართლა თელაველების გულის მოგებას ცდილობენ. ინაუგურაციის ჩატარებას იმის გარკვევა ურჩევნიათ, თუ რატომ წააგო მათმა კანდიდატმა თელავში ორივე ტური.

– თქვენი აზრით, რატომ წააგო ზურაბიშვილმა თელავში არჩევნები?

– რამდენიმე წლის წინ „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო სამარცხვინო გადაწყვეტილება, როდესაც თელავს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი წაართვა. თელავისთვის ეს სტატუსი თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს წევრებს თავისი ხელით გააუქმებინეს.

იქნებ დაფიქრდნენ, თუ რამხელა შეურაცხყოფა მიაყენეს ამით თელაველებს და ამ სტატუსის აღდგენაზე დაიწყონ მუშაობა.

სალომე ზურაბიშვილს თუ ჰგონია, რომ თუ ის ინაუგურაციას ერეკლეს სასახლეში გამართავს, ამით თელაველები სიხარულით გადაირევიან, ძალიან შემცდარა.

ყველას კარგად გვახსოვს, რა მოხდა იმ დღეს, როცა წინასაარჩევნოდ ის თელავში იყო ჩამოსული. მისმა მომხრეებმა ერეკლეს სასახლის ისტორიულ გალავანზე ირბინეს, სალომეს პლაკატები და „ოცნების“ დროშები ლურსმნებით დააჭედეს. ამან თელაველების დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგანაც ისედაც დაზიანებული ისტორიული ძეგლი კიდევ უფრო დააზიანეს.

ამ ქალბატონის ინაუგურაცია თუ მართლაც თელავში გაიმართება, იმედი მაქვს, მისი მომხრეები უფრო მოკრძალებულად მოიქცევიან და ისტორიულ ძეგლს აღარ დააზიანებენ.

– ფიქრობთ, რომ კიდევ გალავანზე დაიწყებენ სირბილს?

– იმედი მაქვს, აღარ ირბენენ. ისტორიულ ძეგლებს მოფრთხილება სჭირდება. კარგია, თუ თელაველების გულის მოგება უნდათ, მაგრამ ამისთვის ინაუგურაცია საკმარისი არ არის.

მეორე ტურის წინ ივანიშვილი გამოვიდა და გვითხრა, ვიცი, ხალხო, რატომაც ხართ გაბრაზებულიო. თელაველები იმიტომ არ ყოფილან გაბრაზებული, რომ ინაუგურაცია თელავში ჩატარეთო. ხალხი იმიტომ არის გაბრაზებული, რომ სიდუხჭირეში ცხოვრობენ.

შორს რომ აღარ წავიდე, ამ შემოდგომაზე რაც მოხდა, იმას ვიტყვი. რთველი საშინლად ჩაატარეს და ჩალის ფასად იყიდეს ყურძენი. ამაზე დაფიქრდნენ, ჯობია. თელაველებს საერთოდ არ აინტერესებთ, სად დადებს პრეზიდენტი ფიცს.

– თელავში ერეკლეს ძეგლი ისევ დგას? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ქოცები ღადაობენ – არჩევნების შედეგები რომ გაიგო, ერეკლე თელავიდან გურჯაანში გაიპარაო.

– ქოცებისთვის თუ თელავშია წასული დიდი მეფე, მაშინ სალომეს ინაუგურაციაც გურჯაანში გამართონ. მეფე თუ თელავში აღარ არის, რაღას მოდიან ჩვენთან.

– რადგან ქოცებმა ეს თემა წამოსწიეს, ერეკლე მეფე რომელ კანდიდატს დაუჭერდა მხარს? მეეჭვება, რომელიმე მათგანისთვის მიეცა ხმა. თქვენ რას იტყვით?

– ერეკლე რომ ცოცხალი ყოფილიყო, საქართველოში ასეთი სიტუაცია არ იქნებოდა. ვის დაუჭერდა მეფე მხარს, ვერ გეტყვით. იმის თქმა კი თამამად შემიძლია, რომ ესენი ერეკლეს გზით არ მიდიან.

ერეკლე თავისი საქართველოსა და თავისი თელავისთვის სისხლს ღვრიდა, ხმალი ხელიდან არ გაუგდია, სულ ბრძოლაში იყო. „ოცნებამ“ კიდევ ერეკლეს ქალაქს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი წაართვა. არა მგონია, მეფეს ის ხალხი ჰყვარებოდა, რომელმაც მის ქალაქს სტატუსი წაართვა.

– სადაც მეფის გურჯაანში გადასვლა მოიფიქრეს, არც ის არის გამორიცხული, ერეკლე მეფეს მძინარე აღა მაჰმად ხანზე თავდასხმა დააბრალონ.

– არ გამიკვირდება, სადაც ცხინვალში ომის დაწყება დააბრალეს საქართველოს, იქ ერეკლესაც დააბრალებენ, ყველა ომი მაგან დაიწყო.

ინაუგურაციისთვის ადგილის შერჩევას სჯობია, სალომე ზურაბიშვილმა ბოდიში მოუხადოს ქართულ არმიას, რომელსაც მან შეურაცხყოფა მიაყენა. მისი ცნობილი წიგნი კი ჰააგაში საქართველოს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

ამიტომ მოვუწოდებ, ბოდიში მოიხადოს. დამიჯერეთ, მნიშვნელობა არა აქვს, ინაუგურაცია თელავში გაიმართება თუ შალაურში.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ იმის დადგენაა აუცილებელი, რატომ არიან თელაველები ასე გაბრაზებული.

– საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ, თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტეს მეფის სასახლეში ინაუგურაციის გამართვა, რადგან იმ ბრძენმა კაცმა სალომე თამარ დედოფალს შეადარა?

– არ გამოვრიცხავ, რომ ამ მიზნითაც შეარჩიეს მეფის სასახლე. გაცოცხლებულმა ილია ჭავჭავაძემ ზურაბიშვილი თამარ დედოფალს შეადარა, ისიც ხიბლში ჩავარდა და გადაწყვიტა, მეფის სასახლეში დადოს ფიცი.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს თელაველების გულის მოსაგებად კეთდება. მერე იტყვის, მართალია, არ ამირჩიეს, მაგრამ მე მაინც ამ ქალაქში დავდე ფიცი, რადგანაც მინდა, ყველას პრეზიდენტი ვიყოო.

კახა გოგოლაშვილი: „ახლა უფრო გაბედულად ვუჭერთ მხარს საერთაშორისო უსაფრთხოებას“

„თუ შავ ზღვაში ნატოს პატრულირება გაიზრდება, ნატოსა და რუსეთის კონფლიქტიც არ არის გამორიცხული“

იაგო ნაცვლიშვილი

ბრიუსელში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი იმართება. განსახილველ საკითხებს შორის შავი ზღვის აუზის უსაფრთხოებაც არის. მინისტერიალში მონაწილეობენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანიც და ასევე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრიც. უკრაინა ის ქვეყანაა, სადაც რუსეთის აგრესიული ქმედებები ისევ ხორციელდება. საქართველოსთან მიმართებით კი რუსეთი მცოცავ ოკუპაციას ახორციელებს და საოკუპაციო საზღვრებიდან ოკუპანტები საქართველოს მოქალაქეებსაც იტაცებენ. ამ თვალსაზრისით მინისტერიალსა და რეგიონის უსაფრთხოებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

რა მოლოდინი არსებობს ბრიუსელის შეხვედრებიდან რუსეთის აგრესიის პრევენციის თვალსაზრისით? – ამ საკითხზე „ახალი თაობა“ „ევროპული კვლევების ცენტრის“ დირექტორ **კახა გოგოლაშვილს** ესაუბრა:

– ბრიუსელში, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრების მინისტერიალი იმართება, მათ შორის შავი ზღვის უსაფრთხოებაზეც უნდა იმსჯელონ. რა პროცესებიც ვნახეთ ქერჩის სრუტეში და რაც ხდება ზოგადად რეგიონში, თქვენი აზრით, პრევენციისთვის საკმარისი იქნება?

– ძალიან რთული საკითხია. როგორც ვიცი, პოროშენკომ მოითხოვა, იქნებ ნატოს გემები შემოვიდეს შავ ზღვაში და უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტი გარანტიები შეიქმნებაო. ისედაც ვიცით, რომ ნატოს აქვს გეგმები, რომ უფრო ინტენსიური გახადოს ნატოს გემების პატრულირება შავ ზღვაში და შეიძლება, ეს საკითხი მიებას. ვთქვათ, დააჩქარონ პატრულირების გაძლიერების საკითხი შავ ზღვაში. რამდენად შეამცირებს ეს რისკებს, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, შეამციროს, მაგრამ შეიძლება გაზარდოს.

– რატომ ფიქრობთ, რომ შეიძლება გაზარდოს?

– ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი არაადეკვატურად იქცევა ხშირ შემთხვევაში. ამ ვითარებაში ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტიც არ არის გამორიცხული, თუ პატრულირება გაიზრდება და შემთხვევით იმ ადგილას მოხვდებიან ნატოს გემები, სადაც რუსეთი რაიმე პროვოკაციას დააპირებს.

რა თქმა უნდა, იქნება სერიოზული მსჯელობა, თუ როგორ მოახერხონ, რომ გაზარდონ უსაფრთხოება და, ამავე დროს, რისკები არ გაიზარდოს. ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი რეგიონის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

– ვხედავთ, რომ რუსეთის აგრესიას საზღვრები არ აქვს, ამ ფონზე ზედმეტად ფრთხილი პოლიტიკა ხომ არ აქვს დასავლეთს რეგიონთან მიმართებით?

– კი, რა თქმა უნდა, მისი პოლიტიკა ფრთხილია. ნატო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს ნებისმიერ პროვოკაციაში მოხვედრა. რუსეთი უფრო და უფრო თავხედურად იქცევა. სწორედ ამიტომ არის საჭირო რაღაც ფორმულის გამონახვა, რომელიც შეამცირებდა რუსეთის ზედმეტ გამოხდომებს. რა თქმა უნდა, ეს საკითხი მარტივი გადასაწყვეტი არ არის.

ნატოს არ შეუძლია კონფლიქტში პირდაპირ ჩართვა, მაგალითად, უკრაინასა და რუსეთს შორის. ამისთვის საჭიროა, რომ უკრაინა იყოს ალიანსის წევრი, რათა ეს ნატომ აღიქვას ნატოს წევრ სახელმწიფოზე პირდაპირ შეტევად, მეხუთე მუხლის შესაბამისად, როგორც უკრაინის, ისე საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და მოქალაქეების სრული დაცვა უზრუნველყოს. ჩვენ პარტნიორები ვართ, მაგრამ აგრესია არ გულისხმობს აგრესიის შემთხვევაში მოქმედებების ჩართვას. თუმცა დადგება საკითხი, რომ შესაძლოა გააძლიერონ როგორც საქართველოს, ისე უკრაინის სანაპირო დაცვა და ფლოტი.

ესეც არ არის მარტივი საქმე. ფლოტის გაძლიერება საკმაოდ ძვირადღირებული და გრძელვადიანი საქმეა. რთული საკითხია, ისეთი, რომელიც უნდა დაიგეგმოს და დალაგდეს. ალბათ მოხდება როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში გათვლილი გეგმების დასახვა. მთავარია, მოხდეს შეთანხმება საერთო ძალისხმევაზე. ამავე დროს, რუსეთს გაეგზავნოს მესიჯი, რომელიც შეაკავებს მის აგრესიას.

– ფიქრობთ, რომ დღევანდელი რეალობით შესაძლებელია რუსეთის აგრესიის შეჩერება?

– პირველ რიგში აქ პოლიტიკურ მხარდაჭერაზე იქნება საუბარი და არა სამხედროზე. ნატოს წევრი ქვეყნები ალბათ გამოთქვამენ სრულ პოლიტიკურ მხარდაჭერას და აქ რისი გაკეთება შეიძლება, ალბათ ამაზე უნდა იმსჯელონ. პოლიტიკური მხარდაჭერის მეთოდიც სხვადასხვა არსებობს. მათ შორის შეიძლება იყოს სანქციების შემოღებაზე გადაწყვეტილებაც. რეკომენდაცია ნატოს მხრიდან, რომ მინისტერიალმა რეკომენდაცია მისცეს თავის ქვეყნებს, რომ გააძლიერონ სანქციები რუსეთის მიმართ. ეს არის პირველი პოლიტიკური ხერხები და პოლიტიკური ზომები.

– თქვენი დაკვირვებით, იმუშავა იმ სანქციებმა, რაც დაკისრებული იყო რუსეთის მიმართ?

– რა თქმა უნდა, სანქციებმა რუსეთს ზიანი მიაყენა და აყენებს თავისთავად, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამან რუსეთი სწორ გზაზე დააყენა. ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, არანაირი სანქციები რომ არ ყოფილიყო. შეიძლება, უფრო თავხედურად ემოქმედა და, შესაძლოა, ახლა უკრაინის სიღრმეშიც ყოფილიყო შეჭრილი და არა მხოლოდ უკრაინის. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში კიდევ შემოსულიყო. თავისთავად ზუსტი შეფასება იმისა, თუ როგორი ზემოქმედება იქონია სანქციებმა, არ შეგვიძლია.

ეკონომიკური ზიანი მიაყენა და, შესაძლოა – მორალურიც. პოლიტიკურად რუსეთი დღეს უფრო გარიყულია და ესეც მნიშვნელოვანია. ქვეყანა, რომელიც სანქციების ქვეშ არის, მას, რა თქმა უნდა, ეჭვის თვალით უყურებენ. ბევრი ინვესტიცია, რომლის განხორციელებაც შეეძლოთ, არ განხორციელდა. უამრავი კომპანია გამოვიდა რუსეთიდან. მაღალი ტექნოლოგიური განვითარებაც შეჩერდა... რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც რაღაცნაირად დაკავშირებული იყვნენ იმ დარღვევებთან, რომელიც უკრაინის კრიზისთან იყო ბმაში, აკრძალული აქვთ ევროპასა და აშშ-ში მოგზაურობა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება, რომ ამას შედეგი არ ჰქონდეს.

შედეგი შეგვიძლია გავზომოთ იმით, თუ რა სცენარი შეიძლება მიგვეღო. ეს სანქციები და საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრი რეაქცია რომ არ ყოფილიყო რუსეთის ქმედებებზე, შეიძლება, მათ ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონოდათ და უკრაინას კიდევ უფრო შეავიწროვებდა, მთლიანად ჩაერეოდა შიდა საქმეებში და სამხედრო ძალითაც უფრო მეტ ზიანს მიაყენებდა.

– რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს, საკმარისია თუ არა? მეტი მხარდაჭერა ხომ არ არის საჭირო ჩვენი მხრიდან?

– დღესდღეობით უფრო ღიად ვუცხადებთ მხარდაჭერას უკრაინას და ეს კარგია. ჩვენ გავხდით უფრო გაბედულები და უფრო გაბედულად ვუჭერთ მხარს ჩვენს პარტნიორ ქვეყანას. აქ მხოლოდ პარტნიორზე არ არის საუბარი, საუბარია იმაზე, რომ მხარს ვუჭერთ საერთაშორისო სამართალსა და უსაფრთხოების საერთაშორისო წესრიგსა და არქიტექტურას.

– ჩვენს მხარდაჭერას იმიტომაც აქვს მნიშვნელობა, რომ რუსეთის აგრესიის საფრთხე პოტენციურად ჩვენც გვემუქრება. ასე არ არის?

– თავისთავად, ჩვენ დაახლოებით ერთნაირი საფრთხე გვაქვს. შესაბამისად, რეაგირებაც კოლექტიური უნდა იყოს. მე მგონია, რომ ის, რაც ადრე იყო, იმასთან შედარებით უფრო გაბედულად და ადეკვატურად ვმოქმედებთ. რეაგირებაც უფრო სწრაფად ხდება. ეს ხდება იმიტომაც, რომ ჩვენ ვიდგეთ ევროატლანტიკური საზოგადოების გვერდით და მივდიოთ მაგ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც იღებს ეს სივრცე მთლიანად. ჩვენც, როგორც ამ სივრცის ნაწილი, შევუერთდით ამ გადაწყვეტილებებს.

მართალია, სრულად ამას ჩვენ ვერ შევუერთდებით, იმიტომ, რომ მოწყვლადი ვართ ამისთვის, მაგალითად, ეკონომიკურ სანქციებს თუ შევუერთდებით, იმ წუთში გამოიწვევს მეორე მხრიდანაც სანქციებს და ეს ჩვენს ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაუზარალებს. აქ ჩვენ ვერ ვიქნებით ისე გაბედულები, როგორიც, ვთქვათ, განცხადებებში. რეალურად, სანქციების საკითხში მოგვიწევს სელექციური მიდგომის შემუშავება, ისეთი ქმედებების განხორციელება და ისეთ სანქციებთან შეერთება, რომლებიც პოტენციურად ძალიან დიდ ზიანს არ მოგვიტანს.

„მე დიდი ეჭვით ვუყურებ იმ ადამიანებს, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარეები იყვნენ“

თენგიზ დიხამინჯია: „სახელისუფლებო ვერტიკალს მხოლოდ მესამე ძალის დაბადება გააწონასწორებს“

გულიკო ბალაძე

უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია „ახალ თაობასთან“ მესამე ძალის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს.

– ძალაუნებურად, ყველაფრის მიუხედავად, იკვეთება გზა, რომელიც პოსტშევარდნაძისტული ეპოქის დასასრულისკენ არის მიმართული, ანუ დასასრულის დასაწყისია. ეს გზა ერთპიროვნული მმართველობის, ფინანსური ბერკეტებისა და დემოკრატიული საწყისების იგნორირების დასასრულს უზრუნველყოფს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ თენგიზ დიხამინჯიამ.

– ბატონო თენგიზ, აცხადებთ, რომ პოსტშევარდნაძისტული ეპოქა სრულდება. რასთან არის ეს დაკავშირებული?

– ეს პროცესი ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ვერტიკალთან არის დაკავშირებული, მისი გაწონასწორებისკენაა მიმართული, რასაც საზოგადოებაც გრძნობს. ამის იმპულსი და რიტმი, გარკვეულწილად, შეიმჩნევა.

– რა გააწონასწორებს?

– სახელისუფლებო ვერტიკალს მხოლოდ მესამე ძალის დაბადება გააწონასწორებს. „ოცნება“ და ნაცმოძრაობა“ არის პოსტშევარდნაძისტული ეპოქის გაგრძელება და განსხეულება, როგორც ერთი დიდი ხის ტოტები. ამიტომ საჭიროა მესამე ძალის დაბადება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ პირობებში, ახალი საარჩევნო კანონის, ადმინისტრაციის ჩამოყალიბებისა და, საერთოდ, სამართლიანობის აღდგენის ფუნდამენტური პრინციპების გარშემო გაერთიანდება.

მხოლოდ ეს თუ იქნება დასაბამი მესამე თუ მეოთხე ძალის დაბადებისა, რომელსაც მოუთმენლად ელის სამოქალაქო საზოგადოება თუ ქვეყნის უმრავლესობა. ეს გზა უკვე იკვეთება. გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ მესამე ძალის შექმნაშია.

– საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „შენების მოძრაობის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ფონდი მას დაეხმარება პარტიული სტრუქტურების შექმნაში. მას 36 ათას 37 ადამიანმა მისცა ხმა და ამას აქცევს პარტიულ აქტივად. მოუწოდა ყველას, ვისაც პოლიტიკაში მოღვაწეობის სურვილი აქვს, მივიდეს მის პარტიაში. ეს ხომ არ არის ნიშანი მესამე ძალის შექმნის დასაწყისისა? თუ მესამე ძალის სხვა კონტურებსაც ხედავთ?

– მე დიდი ეჭვით ვუყურებ იმ ადამიანებს, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარეები იყვნენ. დავით უსუფაშვილსა და მისი პარტიის წარმომადგენლებს (ვგულისხმობ რესპუბლიკურ პარტიას, რომლის თავმჯდომარეც დავით უსუფაშვილი გახლდათ) ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეობა, ორი კომიტეტის თავმჯდომარეობა, რამდენიმე მინისტრის პორტფელი უბოძა, 1%-იანი პარტია იყო და მათ ეს პატივი დაუმსახურებლად ერგოთ, რაც ბიძინა ივანიშვილის შეცდომაა.

ბიძინა ივანიშვილმა თითქმის 0%-იან პარტიას დიდი პრივილეგია

მისცა. მაშინ დავით უსუფაშვილის პარტია ხალხის არანაირი ნდობით არ სარგებლობდა. აქ ხალხის სიყვარულზე არ არის ლაპარაკი, საუბარია ინტერესებსა და მის განსხეულებაზე. მათ მაშინ ეს ვერ შეძლეს, როცა ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკური პარტია, ფაქტობრივად, მმართველ ძალად აქცია.

ახლა ის ყველაფრისაგან დაცლილია. დავით უსუფაშვილის პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში ეროვნულ-სახელმწიფო ინტერესებისაგან დაცლილი, ძალიან საეჭვო, ფუნდამენტური კანონები მიიღეს.

– რომელ კანონებს გულისხმობთ?

– მათ შორის აღვნიშნავ განსაკუთრებით ანტიდისკრიმინაციულ კანონს. საზოგადოებას გავახსენებ, რომ „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ფუნდამენტურ მსოფლმხედველობრივ საკითხებში ყოველთვის ერთი და იგივე იყვნენ. მეტიც, ესენი არიან სიამის ტყუპები, რომლებიც შეზრდილი არიან ერთმანეთთან. მათი განცალკევება და ქირურგიული ოპერაცია – ორივე თავის კვდომას გამოიწვევს. მათ ეს შეგნებული აქვთ და ამ პროცესს ყველანაირად ეწინააღმდეგებიან.

– თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ძალიან წუხს იმის გამო, რომ მათ ნაციონალებთან უწევთ დაპირისპირება. მას უნდა, არჩევნებში სხვა ძალა უპირისპირდებოდეს, ანუ ნაცმოძრაობა მთავარი ოპოზიციური ძალა არ იყოს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მან გააცნობიერა, რამდენად საშიშ ფორმაში შევიდა პროცესი და ამ პროცესში ნაცმოძრაობის როლი?

– ის, რაც გააკეთა შევარდნაძემ სააკაშვილ-ბურჯანაძე-ჟვანიასა და

გაგრძელება მე-6 გვერდზე

რატომ არ მოითხოვს საქართველოს მთავრობა სააკაშვილის დაპატიმრებასა და გადმოცემას?

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი სიმონ ნოზაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საქართველოში შეიარაღებული უკრაინელი მებრძოლების დაკავების საქმეზე გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რა მიზნით იყვნენ ისინი საქართველოში ჩამოსული.

სიმონ ნოზაძე გამორიცხავს ამ საქმეში უკრაინის სახელმწიფოსა და ხელისუფლების როლს. მისი თქმით, ამ საქმეში სულ სხვა ხალხის ხელი ურევია.

– ბატონო სიმონ, მოგეხსენებათ, შს ორგანოებმა უკრაინის 6 და საქართველოს 1 მოქალაქე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ისინი შეიარაღებული იყვნენ. როგორ ხსნით თქვენ ამ ფაქტს?

– მხოლოდ ის ინფორმაცია წავიკითხე, რაც პრესაში დაიბეჭდა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში უნდა დააპატიმრონ და გამოიძიონ, რა მიზეზით იყვნენ ჩამოსული, რას ისახავდა მიზნად მათი საქართველოში ჩამოსვლა. ეს არ არის უბრალო საქმე და ამ კითხვებს გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

– თვით ის ფაქტი, რომ ისინი შეიარაღებული იყვნენ?

– რომელი ქვეყანა მისცემს უფლებას, რომ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე შეიარაღებული გადაადგილდეს. ეს არის მძიმე დანაშაული. მაგალითად, როცა უცხო ქვეყნის თანამშრომლები ჩამოდიან, ისინი დეკლარირებას აკეთებენ, ნებართვას იღებენ სათანადო ორგანოებიდან, სამართალდამცავი სტრუქტურებიდან და ისე შემოდიან იარაღით.

არავინ გააფრთხილო და ისე შემოხვიდე იარაღით, ვთქვათ, თქვენში, როგორ ჟურნალისტში და მოქალაქეში, ეჭვს ხომ იწვევს.

– რა თქმა უნდა.

– შს ორგანოებს ინფორმაცია ჰქონდათ და ამის საფუძველზე დააკავეს. ველოდები გამოძიების შედეგებს, რას ამბობს საქმე. ძნელია თქმა, რას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ შეიარაღებული ტყუილად არავინ შემოვიდოდა.

– რაც ვიცით, ის არის, რომ უკრაინის 6 და საქართველოს ერთი მოქალაქე წარმოადგენს უკრაინის ერთ-ერთ შეიარაღებულ დაჯგუფებას. იმ ვითარებაში, როდესაც, ფაქტობრივად, უკრაინა რუსეთთან ომის მდგომარეობაშია, საქართველოსთვის სცხელათ?

– გამორიცხავ, რომ ამ საქმეში უკრაინის ხელისუფლების ხელი ერიოს. ამ საქმეში უკრაინის ხელისუფლების ხელი არ ურევია. სავარაუდოდ, ეს ყველაფერი საქართველოში დესტრუქციული ქმედებებისთვის არის გაკეთებული. რასთან გვაქვს საქმე, წინასწარ ამაზე მკითხაობა, ჩემი აზრით, გაუმართლებელი იქნება, გამოძიება მიმდინარეობს და მალე უნდა დადოს შედეგები. მე დარწმუნებული ვარ, შინაგან საქმეთა ორგანოებს სათანადო ინფორმაცია ჰქონდათ. შეიარაღებული ტყუილად არავინ შემოვიდოდა.

– თავის დროზე, როდესაც სააკაშვილი უკრაინაში იმყოფებოდა, ღიად საუბრობდნენ იმაზე, რომ მას იქ ჰყავდა შეიარაღებული ჯგუფები, მათ შორის, საქართველოდანაც იყვნენ და იქ უკრაინის მხარეს იბრძოდნენ სეპარატისტების წინააღმდეგ. ახლაც დაკავებულები სააკაშვილთან დაკავშირეს.

– შეიძლება ისინი სააკაშვილთან დაკავშიროს ჟურნალისტმა. შეიძლება ჰქონდეს ამის ინფორმაცია, იყოს ჩანაწერები, მაგრამ რადგან ოფიციალური სტრუქტურები ჩაერივნენ, გამოძიება უნდა ჩატარდეს, საგამოძიებო ვერსიები იქნება. არიან თუ არა უკრაინიდან საქართველოში ჩამოსული პირები სააკაშვილთან დაკავშირებული, გამოძიებამ უნდა დაადგინოს. რაღაცას, რა თქმა უნდა, ვხვდებით. კეთილი ნებით და კეთილი სურვილებით რომ არ იქნებიან ჩამოსულები, აშკარაა.

შეიარაღებული 6-7 კაცის ჩამოსვლა იმაზე მიუთითებს, რომ პრობლემა არსებობს, თუმცა, წინასწარ თქმა, ძნელია, რას უკავშირდება მათი ჩამოსვლა. უდანაშაულობის პრეზუმპცია არსებობს. დარწმუნებული ვარ, გამოძიება ყველაფერს დაადგენს.

– დაკავებული ქართველის დამგანაცხადა, რომ მისი ძმა ნაციონალების მხარდასაჭერად მიტინგზე იყო ჩამოსული.

– უკრაინიდან ჩამოვიდა ნაციონალების მიტინგზე მხარდასაჭერად. იარაღი ჰქონდა თან.

– და იარაღის ქონას უარყოფს.

– ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მეც გავეცანი მამამისის კომენტარს. თუ უკრაინელ მებრძოლებთან არის დაკავშირებული, გამოძიება დაადგენს ყველაფერს და ბოლომდე მიიყვანს ამ საქმეს. ეჭვი მეპარება, ეს საკითხი მკაცრი რეაგირების გარეშე დარჩეს.

– ისე, უკრაინელ მებრძოლებს სად სცალიათ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიტინგის მხარდასაჭერად?

– ნამდვილად მებრძოლები არიან? ნამდვილად იბრძვიან დონეცკსა და ლუგანსკში? მე არ ვიცი, ნამდვილად იბრძვიან თუ არა, რა დავალებით არიან ჩამოსული. ფაქტია, რომ უბრალო მოქალაქეები არ არიან, შეიარაღებულები დადიან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. როცა იარაღით აპირებ შემოსვლას, წინასწარ დეკლარირება უნდა მოახდინო. ქვეყნის სპეცსამსახურები ან მოგცემენ თანხმობას, ან უარს გეტყვიან. როცა არ ახდენ დეკლარირებას და ისე შემოდიხარ, ეს უკვე დანაშაულია. იარაღის უკანონო ტარების მუხლით მათი გასამართლება, უკვე შესაძლებელი იქნება. რა მიზნით შემოვიდნენ, ეს კითხვა უნდა დაესვათ. ამ კითხვებზე მე ვერ გიპასუხებთ, მაშინ გამოძიების მასალებს უნდა ვიცნობდე.

– როგორც ჟურნალისტი, ცოტა ინტერპრეტირებას მივმართავ.

– თქვენ თავისუფალი ხართ, კითხვის დასმის უფლებაც გაქვთ და თქვენებური ინტერპრეტაციის უფლებაც. მე პოლიტიკოსის გარდა, ყოფილი სამართადამცველიც ვარ, რომელმაც 30 წელი სამართალდამცავ სისტემაში ვიმუშავე.

მე ვერ გავაკეთებ დასკვნას. რამდენიმე ვერსია იქნება. იმ ვერსიებს სამართალდამცველებმა უნდა გასცენ პასუხი. უბრალოდ, ჩემი სურვილია, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს გამოძიება, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რასთან გვაქვს საქმე.

– თქვენ გამორიცხეთ უკრაინის სახელმწიფოსა და ხელისუფლების ხელი ამ საქმეში...

– უკრაინა მეგობარი სახელმწიფოა და მისი ხელისუფლება ამგვარ ნაბიჯებს არ გადადგამს. ეს გამორიცხულია. ისე ძიების დროს რა წამოიჭრება, არ ვიცი. მე მაინც გამოვრიცხავ. ამ საქმეში უფრო სხვა ხალხის ხელი ურევია.

– კერძოდ?

– გავერკვეთ, რასთან გვაქვს საქმე. მე წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რომ გითხრათ, რა მიზნით შემოვიდნენ, ვინ შემოაგზავნა, რა დავალებით იყვნენ შემოსული. ამას გამოძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

– კი ბატონო, მაგრამ გავაგრძელებ ინტერპრეტირებას – გამოვრიცხოთ უკრაინის ხელისუფლება, მაგრამ გამორიცხავთ, რუსეთის რაღაც სქემებში შედიოდეს, სიტუაციის არევა საქართველოში და ეს ფაქტი რაღაცნაირად რუსეთის ხელისუფლების ქმედებებთან იყოს დაკავშირებული?

– უკრაინის მოქალაქეების შემოგზავნა რუსეთის ხელით – ახლა ჩვენ ძალიან რთულ სქემას ვალაგებთ.

– უფრო ადვილი არ არის, უკრაინის მოქალაქეების შემოგზავნა, რადგან პირდაპირ რუსეთის მოქალაქეების შემოგზავნა უფრო დიდ ეჭვს გამოიწვევდა.

– ამგვარი რამეები არსებობს სპეცსამსახურებში, მაგრამ როგორ უნდა გითხრათ, მათი გაკეთებულია თუ არა. ამ ხალხის შესახებ უკრაინის სამართალდამცავ სტრუქტურებს შეეკითხებიან, ვინ არიან, რას საქმიანობდნენ, როგორ ხასიათდებიან, რა მონაცემები არსებობს მათზე. ქართველი და უკრაინელი სამართალდამცავები ითანამშრომლებენ, რადგან უკრაინა ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. ამიტომ უკრაინის სამართალდამცავ სტრუქტურებთან თანამშრომლობა არ გაგვიჭირდება. დარწმუნებული ვარ, ამ საქმის გამოძიებით უკრაინის ხელისუფლებაც იქნება დაინტერესებული.

– უკრაინის სპეცსამსახურებს ამ ადამიანებზე მონაცემები ექნებათ?

– სამართალდამცავ სტრუქტურებს მონაცემები ნებისმიერ ადამიანზე აქვთ. არსებობს საინფორმაციო ბაზა. შესაძლოა არ იყვნენ რაიმე ქმედებებში შემჩნეული და არ ჰქონდეთ ინფორმაცია, მაშინ სამართალდამცავების მხრიდან მაგის მოძიება რთული არ არის, როგორ ხასიათდებიან, ვინ არიან და რას წარმოადგენენ. ეს ცნობილი, აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის, უკრაინაშიც.

– რა სქემის გათამაშება შეიძლება უნდოდეს ნაცმოძრაობას ამ კონტექსტში?

– თვითონ თქვეს, ნაცმოძრაობის ლიდერები არ მალავენ, რომ უნდათ მოახდინონ ვითარების რადიკალიზაცია. ამისთვის ჩაატარეს მიტინგი, მაგრამ არავითარი საყრდენი არ აქვთ, 2 დეკემბრის შეკრებამაც აჩვენა, რომ ნაცმოძრაობა, ფაქტობრივად, გაკოტრებულია.

– სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა, მაგრამ ჯარს და პოლიციას მოუწოდა, სახელმწიფოს არ დაემორჩილონ. ეს რას ნიშნავს?

– ჩვენ არ ვიცით, სააკაშვილი რომელი ქვეყნის მოქალაქეა.

– ამბობენ, აპატრიდიაო.

– ე.ი. მოქალაქეობის არ მქონე პირია. თუ სააკაშვილი მოქალაქეობის არ მქონე პირია, ვერც ერთ ქვეყანას ვერ წავუყენებთ პრეტენზიას, თქვენი მოქალაქე ამას რატომ აკეთებსო.

– მეორე მხრივ, ჩვენს სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი და 7 წელი აქვს მისჯილი.

– დიახ, მას მიესაჯა და სასჯელი აღსრულდება.

– როგორ ფიქრობთ, ჩვენი სახელმწიფო რატომ არ მოითხოვს სააკაშვილის დაპატიმრებას და საქართველოსთვის გადმოცემას?

– ეს ეცოდინება ინტერპოლს. ვერ გეტყვით, რატომ არ მოითხოვს.

– თქვენ ბრძანეთ, ნაცმოძრაობას მოსახლეობაში არავითარი საყრდენი არ აქვსო.

– როგორ გგონიათ, 2 დეკემბრის აქცია რას მიუთითებს, მხარდაჭერა აქვს? შეადარეთ „პატრიოტების“ აქციას, რამდენი მოვიდა, 5 ათასი? მე რა კადრებიც ვნახე (საზოგადოებრივი მაუწყებლის კადრები ამოვიღე), იქ, ალბათ, 5 ათას კაცამდე იქნებოდა. ძალიან დიდი მობილიზაციის შემდეგ, მხოლოდ ამ რაოდენობის ხალხის მოყვანა შეძლეს ნაცებმა და მათთან გაერთიანებულმა ვითომ პარტიებმა. ნაციონალებს მხარდამჭერები და ხალხში საყრდენი არ აქვთ. როგორ მიიღეს ხმების იმდენი რაოდენობა, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაადგინოს.

– ამბობთ, ნაციონალებს ხალხში საყრდენი არა აქვთო და საპრეზიდენტო არჩევნებში 800 ათასი ხმა მიიღეს.

– ამიტომ ვამბობ, უნდა დაადგინონ, რასთან გვქონდა საქმე. ნაცმოძრაობას 800 ათასი მომხრე რომ ჰყავდეს... შეიძლება ვინმეს წინააღმდეგ დაუჭირეს მხარი. კაცმა არ იცის, ნაცმოძრაობას 800 ათასმა ადამიანმა რატომ დაუჭირა მხარი. ეს სამსახურებმა უნდა გააანალიზონ. თუ ამდენი მხარდამჭერი ჰყავთ, მაშინ ხალხი რატომ არ მივიდა მათ მიტინგზე. უნდა გააანალიზონ, რატომ მივიდა 5 ათასი და არა 20 და 25 ათასი? რატომ მივიდა „პატრიოტთა ალიანსის“ აქციაზე 100 ათასი.

– შეიძლება დავუშვათ, რომ ოპოზიციამ გააყალბა არჩევნები?

– მე ასე ბრმად არ მივდივარ. არჩევნები ტარდებოდა მშვიდ ვითარებაში. ნაცმოძრაობას

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ნატოს მინისტერიალში საქართველოც მონაწილეობს

ამერიკელი სენატორი შავ ზღვაში ამერიკული და ნატოს სამხედრო გემების შეყვანას მოითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ბრიუსელში მონაწილეობს ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალში. მის ფარგლებში ტარდება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა საქართველოსა და უკრაინის წარმომადგენლებთან.

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს განსაკუთრებული პარტნიორები არიან. თუმცა, ალიანსში ამ ქვეყნების გაწევრიანებას დასავლეთში ყველა არ უჭერს მხარს. რამდენიმე დღის წინ ამის თაობაზე ისაუბრა ბრიტანელმა მკვლევარმა კავკასიის საკითხებში თომას დე ვაალმა. მისი აზრით, საქართველომ უნდა გააგრძელოს სწრაფვა ევროკავშირისაკენ, ნატოში მისი შესვლა კი აუცილებელი არ არის.

ნატოს ფორუმი დაემთხვა ზოგადად რთულ ვითარებას მსოფლიოში და რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას ქერჩის სრუტეში მომხდარი მოვლენების გამო.

ნატოს სამიტამდე ერთი დღით ადრე აშშ-ის კონგრესის სენატორმა ჯონ ბარასომ გამოთქვა აზრი შავ ზღვაში ამერიკული და ნატოს სამხედრო გემების გაგზავნის თაობაზე.

– უკრაინელებს უნდა ვაჩვენოთ, რომ მათთან ვართ, რუსეთს კი უნდა გავაგებინოთ, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები დასაცავია, – აღნიშნა ბარასომ.

საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება რომ შავი ზღვის რეგიონის მიმართაა მოპყრობილი, ამას დავით ზალკალიანიც ადასტურებს.

მისივე აზრით, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა საქართველოსთან და უკრაინასთან ადასტურებს, „თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ნატოს პოლიტიკურ დღის წესრიგში“.

მოსალოდნელია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ გამოიყენოს ბრიუსელის ეს შეხვედრა რუსეთზე ზეწოლისათვის. ვაშინგტონი მოსკოვს ედავება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების შეუსრულებლობას. პომპეო, ასევე გეგმავს, შეახსენოს ევროპელ პარტნიორებს მათი დანაპირები ნატოში წილის შესახებ. ეს წილი არ უნდა იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე ნაკლები, აქედან 20% კი აღჭურვას უნდა მოხმარდეს.

ანალიტიკოსების ნაწილი ისევ ფიქრობს, რომ აზოვის ზღვაში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ინციდენტი ფართო მასშტაბს არ მიიღებს. პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევენ, რომ ქერჩის სრუტეში დაძაბულობა აწყობს როგორც უკრაინის, ისე რუსეთის პრეზიდენტებს. ამავე დროს ამერიკელი ექსპერტები დღეს ყურადღებას ამახვილებენ ახალი მსოფლიო ომის საშიშროებაზე.

მათი დასკვნით, ერთი შეხედვით, ომი არავის უნდა, ორი განრისხებული სახელმწიფო აზვიადებს კონფლიქტს ერთმანეთს შორის და სახიფათოდ იქცევა. მეორე მხრივ, საშიშროებას ქმნიან არა მარტო ეს სახელმწიფოები, არამედ, სხვა ქვეყნებიც კი. მსოფლიო ომი შეიძლება დაიწყოს სწორედ მაშინ, როცა ომის გაჩაღება არავის უნდა.

ექსპერტების სიტყვებით, როცა 2014 წელს რუსეთმა უკრაინას ყირიმი წაართვა, მსოფლიოს ამაზე სწორი რეაქცია ჰქონდა. ეს შეფასდა საერთაშორისო ნორმის დარღვევად. თუმცა, მაშინ ბევრს არ ეგონა, რომ ეს იქნებოდა ფითილი ახალი კონფრონტაციისათვის. რუსეთი და უკრაინა უკანასკნელ ხანს ახდენენ მოვლენების ესკალაციას, რაც არის ომის პირდაპირი საფრთხე, განსაკუთრებით, ევროპისათვის.

მამუკა არეშიძე: „ნაციონალებმა აქციაზე ბევრი ხალხი შეგნებულად არ გამოიყვანეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, 2 დეკემბერს შსს-მ უკრაინის მოქალაქეები დააკავა. ამ ჯგუფში იყო ორი ქართველიც. სხვადასხვაგვარი ინფორმაცია და ვერსია მოვისმინეთ. შს მინისტრი გიორგი გახარია აცხადებს, რომ გარკვეული ინფორმაციები აქვთ, თუმცა უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. რას იტყვით თქვენ? ამბობენ, რომ ეს ჯგუფი ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავდა.

– დღეს მტკიცებით ფორმაში ლაპარაკი რთულია, მაგრამ, თუ ლოგიკას გავყვებით, ლოგიკა არის ასეთი: დღეს უკრაინა არის ურთულეს მდგომარეობაში, გამოცხადებულია საბრძოლო მდგომარეობა, გამოცხადებულია რეზერვისტების მობილიზაცია. ორი ქალაქი პრაქტიკულად არის ბლოკადაში, პრაქტიკულად, მიმდინარეობს საომარი ვითარების ესკალაცია. ლუგანსკთან მიმდინარეობს ბრძოლები და ამ დროს სამხედროების ერთი ნაწილი, რომლებიც, მართალია, ყოფილი სამხედროები არიან, თუმცა გაერთიანებული არიან შესაბამის სამხედრო სტრუქტურაში და ეს სამხედროები უცებ ტოვებენ უკრაინას და მიდიან სხვა ქვეყანაში იმისათვის, რომმ როგორც თვითონ ამბობენ, დაისვენონ. მე, მაგალითად, არ მჯერა ამის.

– ადვოკატის თქმით, ამოღებული იარაღი მათ არ ეკუთვნოდათ.

– დავუშვათ, ის იარაღი, რომელიც მათ ამოუღეს, მათი არ იყო, მაგრამ ძალიან ბევრი ფაქტია ისეთი, რომლებიც სერიოზულ ეჭვს აღვივებს და ამის უფლება ჩვენ ნამდვილად გვაქვს.

– ერთ-ერთს ამ ჯგუფიდან ცოტა ხნით ადრე სააკაშვილთანაც ჰქონია შეხვედრა.

– ერთსაც ჰქონდა და რამდენიმესაც. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი, სევჩინკო, წარმოადგენს სამხედრო დაცვის სტრუქტურას, სადაც გაერთიანებული არიან ამ ბატალიონ დონბასის ყოფილი მეომრები. მათთან ერთად ორი ქართველია, ერთი – საქართველოს მოქალაქე და ერთიც – უკრაინის მოქალაქე.

– ეჭვს ისიც იწვევს, რომ ამ ქართველი მებრძოლის ოჯახმა არ იცოდა მისი საქართველოში ყოფნის ამბავი.

– დიახ, ეგ საქმე. ეს ძალიან საინტერესო დეტალია, რომ ქართველები ჩამოდიან საქართველოში, ოჯახებმა არაფერი იციან და ისინი სასტუმროში ცხოვრობენ. ჩხეტიას ოჯახის წევრები არ მალავენ, რომ ის სწორედ აქციაზე დასასწრებად ჩამოვიდა. ეს სევჩენკო, რომელიც ამ დაცვის

სტრუქტურის ხელმძღვანელია, მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერია და შარშან ის მაიდანის მოწყობას ცდილობდა სააკაშვილის მხარდასაჭერად. ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ, რბილად რომ ვთქვათ, აქ სუფთად არ არის ყველაფერი. ჩვენ გვაქვს სერიოზული ეჭვები და ეს ეჭვები გამოძიებამ ან უნდა გაფანტოს, ან უნდა დაამტკიცოს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ის, რომ აქ დასასვენებლად იყვნენ ჩამოსული, არ მჯერა!

– გამოდის ინფორმაციები, რომ იგეგმებოდა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ლიკვიდაცია, რათა დაძაბულობის მუხტი გაზრდილიყო. ამაზე რას იტყვით?

– დიახ, ეს ინფორმაცია მეც მაქვს. არის ინფორმაციები, რომ შესაძლოა ეს თავდასხმა მომხდარიყოს გრიგოლ ვაშაძეზე. როგორც ზოგიერთები ამბობენ, გრიგოლ ვაშაძეს ბოლო დღეებში ჯავშანჟილეტი ეცვა.

– ითქვა ისიც, რომ გრიგოლ ვაშაძე უშიშროების მიერ გაფრთხილებული იყო.

– დიახ, გაფრთხილებული იყოო და სწორედ ამიტომაც დადიოდა ჯავშანჟილეტით. მოკლედ, ძალიან ბევრი ისეთი საინტერესო ფაქტია, რომლებსაც ერთ ქვაბში თუ მოვაქცევთ, გამოდის, რომ ეს ხალხი აქ იყო ჩამოსული კონკრეტული დავალებით.

– კერძოდ?

– ეს კონკრეტული დავალება შეიძლება ყოფილიყო უკვე არეულ სიტუაციაში ჩართვა და კონსულტაციების გაწევა. ისინი რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, ჩემთვის დღესავით ნათელია, მაგრამ მათი საქმე იყო კონსულტაციები და განსაკუთრებით იმ სამხედროებთან ურთიერთობა, რომლებიც მერყეობდნენ და რომლებიც ანტაგონისტურად არიან დღევანდელი ხელისუფლების მიმართ განწყობილნი. ასეთი სამხედროები რომ არსებობენ, ეს გამოაჩინა არჩევნებმაც. მე, უბრალოდ, მაინტერესებს ხელისუფლების ანალიზის შედეგები იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა ავღანეთში, როცა პირველი ტური მოიგეს და მეორე წააგეს! გარდა ამისა, მე მაქვს მონიტორინგის საშუალება ზოგიერთ უბანზე.

– მაგალითად, რომელ უბნებზე?

– თუნდაც გარდაბნის სპეცუბნებზე. ერთი უბანი მოიგეს, მეორე – წააგეს, სწორედ ის უბნები, სადაც სამხედროები აძლევდნენ ხმას. მე შემიძლია ვივარაუდო, რომ ძალიან სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ყოფილ, ისე მოქმედ სამხედროებთან.

– რისთვის?

– ზუსტად იმისთვის, რომ გარკვეული ექსცესები მომზადებულიყო.

– ასევე მოვისმინეთ სააკაშვილის წინმსწრები განცხადებები დაუმორჩილებლობის თაობაზე.

– დიახ, მან ჯარსა და შსს-ს დანაყოფებს მოუწოდა დაუმორჩილებლობისაკენ. მან ვერ დამალა ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ. მას რომ არ ჰქონოდა გარკვეული იმედი ამისა, ასეთ სისულელეს არ იტყოდა. გამოდის, რომ მას ჰქონდა ინფორმაციები, რომ იქ რაღაც მზადდება. როგორც ჩანს, მან თვითონ გასცა ეს განკარგულება, რომ ამ მიმართულებით ემუშავათ.

– რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს?

– მოდით, წარმოვიდგინოთ ვირტუალური სურათი, რომ დაიწყო აქციები, ხალხმრავალი, მრავალათასიანი რუსთაველის პროსპექტზე, დაიწყო დაპირისპირება პოლიციასთან და ამაში ჩაერთვნენ სამხედროები. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია წინასწარ უკვე ჰქონდათ საქართველოს სპეცსამსახურებს და ამიტომ მოხდა ვაშაძის გაფრთხილება.

სააკაშვილმა ჯარსა და შსს-ს დანაყოფებს მოუწოდა დაუმორჩილებლობისაკენ. მან ვერ დამალა ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ. მას რომ არ ჰქონოდა გარკვეული იმედი ამისა, ასეთ სისულელეს არ იტყოდა. გამოდის, რომ მას ჰქონდა ინფორმაციები, რომ იქ რაღაც მზადდება. როგორც ჩანს, მან თვითონ გასცა ეს განკარგულება, რომ ამ მიმართულებით ემუშავათ.

– ანუ კარგად იმუშავა უშიშროებამ, შეიძლება ითქვას?

– ჩანს, რომ იმუშავა და აქედან გამომდინარე მოხდა ისიც, რომ გაერთიანებულმა ოპოზიციამ მიშას აქტივობას მხარი არ დაუჭირა. სხვათა შორის, ბევრი დასცინის გაერთიანებულ ოპოზიციას, რომ მან ვერ შეძლო ხალხის შეკრება რუსთაველზე 2 დეკემბერს. მართალი გითხრათ, მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ვერ კი არა, არ შეკრიბეს.

– რატომ, რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ?

– რასაკვირველია. მიხეილ სააკაშვილი არის შორს, ესენი კი არიან აქ. მიუხედავად იმისა, რომ ანტაგონისტურად არიან განწყობილნი ხელისუფლების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეზე წამსვლელები არიან, ომის მომხრეები არ შეიძლება იყვნენ. გაერთიანებული ოპოზიციიდან შემიძლია დავასახელო რამდენიმე წევრი, რომლებიც არასოდეს წავლენ ამაზე. ნაციონალური მოძრაობის წევრებს არ ვგულისხმობ, მე ვგულისხმობ გაერთიანებული ოპოზიციის სხვა წევრებს.

– ჩვენ ვნახეთ, რომ გაემიჯნნენ კიდეც სააკაშვილის ამ განცხადებას.

– დიახ, აი, ეს რიტორიკა, რომელიც წვეთწვეთობით ჟონავდა, მოწმობდა, რომ იქ არ იყო კონსოლიდირებული მიდგომა სააკაშვილის პოზიციის მიმართ. მე მგონია, რომ იქ ხალხი შეგნებულად არ მიიყვანეს.

– ხალხი რომ მეტი ყოფილიყო, უკონტროლო სიტუაცია იქნებოდა?

– რასაკვირველია. გაერთიანებულ ოპოზიციას ეს ინფორმაცია რომ არ ჰქონოდა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მათ 20-30 ათასი კაცის გამოყვანა თავისუფლად შეეძლოთ. ამისი ფინანსური რესურსიც აქვთ და საშუალებაც. 800 ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი და აქედან 10%-ის გამოყვანის რესურსი ნამდვილად უნდა ჰქონოდათ. თუმცა 10% კი არა, 0,1% იყო იმ ხალხისა, ვინც მხარი დაუჭირა გაერთიანებულ ოპოზიციას. თბილისელებიც კი არ გამოვიდნენ მთლიანად, ისინი, ვინც მათ მხარი დაუჭირა.

– იქნებ ვერ შეაგროვეს მხარდამჭერები?

– მე ზუსტად ვიცი, რომ მარტო გარდაბნიდან იგეგმებოდა აზერბაიჯანელი მოქალაქეების წამოსვლა ამ აქციაზე. იგეგმებოდა დაახლოებით 500 კაცის წამოსვლა, მაგრამ ჩამოვიდა 30 კაცი. ეს დააბრალეს იმას, რომ ფინანსური რესურსი არ იყო და ამიტომ ვერ მოხერხდა ამ ხალხის ჩამოყვანა. თუმცა თბილისელები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ნაციონალურ მოძრაობას, მარტო ისინი რომ გამოსულიყვნენ, მარტო ისინი შეგროვდებოდნენ 30 ათასი კაცი, თუმცა არ შეგროვდნენ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ გაერთიანებული ოპოზიციის წევრებმა ხალხის მოსაყვანად შეგნებულად არ იმუშავეს, რადგან არ უნდოდათ, მიხეილ სააკაშვილის გეგმას გაჰყოლოდნენ.

„მე დიდი ეჭვით ვუყურებ იმ ადამიანებს, რომლებიც პარლამენტის თავმჯდომარეები იყვნენ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ე.წ. ნაციონალებთან დაკავშირებით დანაშაული იყო. შევარდნაძის ერთ-ერთი მთავარი დანაშაული ის იყო, რომ 2003 წელს მან არ დაუჭირა მხარი მრავალპარტიული არჩევნების დაკანონებას, მის დახვწას, გაგრძელებას დროთა განმავლობაში. შევარდნაძემ დემაგოგიური, ეგოცენტრული თუ სხვადასხვა მოსაზრებების გამო 12%-იანი პარტიის ხელმძღვანელ სააკაშვილს გაუწია ვითომ ხელოვნური წინააღმდეგობა.

მთელი მსოფლიო ჩარია (ბეიკერი ჩამოვიდა. მსოფლიოს სხვადასხვა ლიდერებმა მიუთითეს მას, რომ გარკვეულწილად, საარჩევნო ხარვეზები აღმოეფხვრა), გაჯიქდა, არ შეისმინა და ამის სანაცვლოდ მივიღეთ ვარდების რევოლუცია, რომელიც შევარდნაძის პენსიაზე გასვლასთან იყო დაკავშირებული. შევარდნაძემ სრული უპრინციპობა გამოავლინა და, ფაქტობრივად, მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება.

– გაიხსენეთ, შევარდნაძემ განაცხადა, სააკაშვილს ხონჩით მივართვი ხელისუფლება და პრეზიდენტობაო. რევოლუცია გაითამაშეს, რომ ხელისუფლება სააკაშვილისთვის გადაებარებინათ და სხვა ძალები არ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში.

– მეც გეუბნებით, რომ თამაში იყო. დაახლოებით იგივე თამაში გრძელდება ახლაც, ზუსტად იმავე სცენარით. ყოველ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი, როგორც შევარდნაძე, ნაციონალურ მოძრაობას მაქსიმალურად აძლიერებს.

– რით აძლიერებს?

– პარტიას, რომელსაც 2012 წელს 400 ათასი ხმა ჰქონდა, დღეს კი 800 ათასზე მეტი აქვს, ეს თუ ხელოვნური არ არის და ერთმანეთის განზრახ გაძლიერებასა და ჩანაცვლებას არ ემსახურება, მაშინ საზოგადოებამ გასცეს პასუხი. იმის თქმა მინდა, ისტორია მეორდება. ნაცმოძრაობა 2012 წელს გაცილებით პროგრესული და აღმავალი იყო, ვიდრე დღეს არის.

დღეს ნაცმოძრაობა კრიმინალიზებულია, ძალიან მძიმე დანაშაულებით, ტერიტორიების დაკარგვით, კონსტიტუციური გადატრიალებითა და მთელი რიგი ფაქტორებით, მაგრამ თითქოს ისეთივე მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც ადრე.

– ვერ დავიჯერებ, რომ ივანიშვილს უნდა, ხელისუფლება ნაცმოძრაობას გადააბაროს.

– ცოტა რთულია თქმა, ივანიშვილს ხელისუფლების ნაცმოძრაობისთვის გადაბარება უნდა თუ არა. პოლიტიკაში მოტივები მეცნიერებისთვის არის საინტერესო, მოსახლეობისა და მთელი მსოფლიოსთვის კი – შედეგები, ფაქტები და არგუმენტები. ძირითადად არჩევნების ფარგლებში დომინანტი და მთავარი არგუმენტია საინტერესო.

– საბოლოო ჯამში, საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლის 43-44% არ მივიდა. ეს მესამე ძალის შექმნის საფუძველს ქმნის?

– ძალიან მყარ საფუძველს ქმნის. ეს მოსახლეობის ის კონტინგენტია, რომელმაც აქტიური ბოიკოტი გამოუცხადა ორ მთავარ მოთამაშეს, შევარდნაძის ორ განსხვეულებას და მესამე ძალას ელოდება, რომელიც სახელმწიფოებრიობაზე, მის მომავალზე, თვითმყოფადობაზე, სამართალმემკვიდრეობაზე, სამართლიანობასა და, საერთოდ, სოციალურ კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული.

მესამე ძალა მარადიულ ფასეულობებზე იქნება აგებული, სამოქალაქო საზოგადოების ხელდასმული, საქართველოს მოსახლეობის ნებას აღასრულებს, უზრუნველყოფს მის დაცვას, დაამყარებს კონტაქტს თავის მოსახლეობასთან და მხოლოდ ის ისარგებლებს ნდობით და გარანტიებს შექმნის. დანარჩენი ყველაფერი ან ბუტაფორიაა, ან სექტანტურია, ან თავსმოხვეულია. სხვათა შორის, პარადოქსულია, მაგრამ სააკაშვილის პარტია უფრო მყარი იდეებით გამოირჩევა, ვიდრე „ოცნება“.

– კარგით რა, ასე არ არის, მთლად ნუ გაანადგურეთ.

– გასანადგურებელი კი არა, მეტია. პარტიამ, რომელიც წინა პარლამენტში 400 ათასი ხმით შევიდა, დღეს 800 ხმა მიიღო. ეს კრიზისი და კატასტროფა თუ არ არის პარტიისთვის, მაშინ მე საერთოდ დავდუმდები და ხმას არ ამოვიღებ. თან იმასაც ლაპარაკობენ, ინაუგურაცია, რომელიც 16 დეკემბერს არის დანიშნული, ნაციონალებმა დაანშანტაჟეს თუ ზემოქმედებას ახდენენ, ინაუგურაცია გადაიქვთ ტრადიციული მთავრობის სასახლიდან. ინიციატივა ნაციონალებს დაუთმეს. ფაქტობრივად, მორალური კაპიტულაცია აღიარებულია და მეტი რა უნდა მოხდეს.

რატომ არ მოითხოვს საქართველოს მთავრობა სააკაშვილის დაპატიმრებასა და გადმოცემას?

დასაწყისი მე-5 გვერდზე

აქვს არჩევნების გაყალბების გამოცდილება, მაგრამ არ ვიცი, ახლა მაგის თქმა როგორ შემიძლია, კონკრეტული ინფორმაცია უნდა იყოს და უნდა გამოიძიონ.

ფაქტია, რომ ქალბატონმა სალომემ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ბუნებრივია, ჩვენნაირ ქვეყანაში 100%-იან მხარდაჭერას ვერ მიიღებ. ჯერჯერობით, ასეთი კანდიდატი არ ჩანს, რომ 100%-იანი მხარდაჭერა ჰქონდეს. ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყნებში ასეთი დონის მხარდაჭერა არ ხდება. 60% ჩემთვის სავსებით საკმარისია იმისათვის, ვთქვათ, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ სალომე ზურაბიშვილს მხარი დაუჭირა.

– რაც ყველაზე მეტად იწვევს გაკვირვებას ისაა, რომ ავღანეთში მყოფმა სამხედროების უმრავლესობამ პირველ ტურში სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა მხარი, მეორე ტურში კი – გრიგოლ ვაშაძეს. რამ შეაცვლევინა ამ სამხედროებს აზრი?

– ეს ცრუ აგიტაციის ბრალია. ისინი სატელევიზიო გადაცემებს უყურებენ, ძირითადად, ალბათ, „რუსთავი-2-ს. ამის ბრალია, თორემ ჯარი სახელმწიფოს ერთგული რომ არ იყოს, გამორიცხულია. სახელმწიფო სტრუქტურები, მმართველი ძალა სალომე ზურაბიშვილს უჭერდა მხარს. ამიტომ გამოვრიცხავ, ჯარი სახელმწიფოს წინააღმდეგ წავიდეს. საზღვარგარეთ მყოფი კონტინგენტი, ქვეყანაში სტაბილურობით დაინტერესებულიც კი არის. იმ ქვეყნის სტაბილურობით, რომელმაც ისინი ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად გააგზავნა.

მირზა სუბელიანის საქმის განხილვა გადაიდო

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული მირზა სუბელიანის სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში 4 დეკემბერს, 14:00 საათზე უნდა გამართულიყო, გადაიდო.

აღნიშნულის მიზეზი მოსამართლე ლელა ნოზაძის შვებულებაში გასვლაა.

პროცესზე დაცვის მხარე შესავალი სიტყვით უნდა წარმდგარიყო.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი, მირზა სუბელიანი ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით, დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით 9 ივნისს დააკავეს.

თბილისში მართლწესრიგის ოფიცრებმა დაიწყეს მუშაობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს „სისტემური განახლების“ ფარგლებში, თბილისში მართლწესრიგის ოფიცრებმა დაიწყეს მუშაობა.

შსს-ს ინფორმაციით, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი წარმოადგენს კრიმინალური პოლიციის ახალ დანაყოფს, რომელმაც ეტაპობრივად სრულად უნდა ჩაანაცვლოს კრიმინალური პოლიციის საუბნო მიმართულება და უბნის ინსპექტორის მოძველებული ინსტიტუტი.

უწყების განმარტებით, მართლწესრიგის ოფიცერი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელია, რომელიც მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია.

– წარმოდგენილი მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა მოხდა არსებული თანამშრომლებიდან, მათ რამდენიმეთვიანი ინტენსიური პროფესიული სწავლება გაიარეს და დღეიდან დაიწყეს მუშაობა თბილისის კრიმინალური პოლიციის ვაკე-საბურთალოს სამმართველოში. პარალელურად, ღია კონკურსის მეშვეობით მოხდა მოსახლეობიდან მართლწესრიგის ოფიცრების ვაკანსიებზე კანდიდატების შერჩევა, რომლებიც ამჟამად ინტენსიურ სწავლებას და მომზადებას გადიან. ეტაპობრივად, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ჯერ თბილისის მასშტაბით, ხოლო მოგვიანებით მთელ საქართველოში დაინერგება, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ლუკა ჩხეტია: „დამალვას არ ვაპირებ, ჩემი და ჩემი უკრაინელი ძმების სიმართლე მინდა დავამტკიცო“

თბილისში სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ უკრაინის 6 და საქართველოს ერთ მოქალაქეს საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

საქართველოში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ უკრაინის 6 და საქართველოს ერთ მოქალაქეს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა გამოაცხადა.

მოსამართლემ ბრალდების მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა შვიდივე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულიყო პატიმრობა, სრულად დააკმაყოფილა.

მოსამართლის განმარტებით, საფრთხეები, რაც პროკურორმა წარმოადგინა, სახეზეა. კერძოდ, პროკურორმა პროცესზე განაცხადა, რომ ბრალდებულების მხრიდან არსებობდა მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მტკიცებულებათა მოპოვების ხელის შეშლის საფრთხე.

შეგახსენებთ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, ლიხაურის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „გურუსა“ და „ალიანსში“ სპეცოპერაცია ჩაატარა. შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები არიან უკრაინის მოქალაქეები: ო.ნ., რ.მ., დ.კ. ი.კ., ი.ო., ს.კ. და საქართველოს მოქალაქე ლ.ჩ.

მათივე ინფორმაციით, სასტუმროს ნომრების ჩხრეკისას ამოღებულია „ბერეტასა“ და „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ავტომატური ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

– დამალვას არ ვაპირებ, ჩემი და ჩემი უკრაინელი ძმების სიმართლე მინდა დავამტკიცო. ჩავაბარებ პასპორტს, თქვენს ყველანაირ გადაწყვეტილებას ვემორჩილები, – აღნიშნული სიტყვებით საქართველოში უკრაინელებთან ერთად სპეცოპერაციისას დაკავებულმა საქართველოს მოქალაქე ლუკა ჩხეტიამ მოსამართლე გიორგი კერატიშვილს მიმართა.

პროკურორმა კი ჩხეტიას მიმართა კითხვით, თუ რატომ ინახებოდა მისი პასპორტი სხვასთან, რასთან დაკავშირებითაც, ბრალდებულმა უპასუხა, რომ ჩანთა ძმაკაცების ნომერში დარჩა, რომელშიც იყო პირადობის და მართვის მოწმობა.

მოსამართლემ დაკავებულებს კითხვით მიმართა, ეთანხმებიან თუ არა ადვოკატის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას, 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ მათი გათავისუფლების თაობაზე.

შვიდივე პირი აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000-ლარიან გირაოს ეთანხმება და აცხადებენ, რომ გამოძიებას არ მიემალებიან და საბუთებს ჩააბარებენ.

– მე არ ჩამიდენია დანაშაული, ამიტომ პროკურორი ვერ დაასაბუთებს, რომ თქვენთან სამართალდარღვევას ვახორციელებდი.

მთლიანად ვეთანხმები ადვოკატს, მზად ვარ, საბუთები ჩავაბარო და ყოველდღე გამოვცხადდე საგამოძიებო ორგანოში. საბაჟოზე ყველანაირი შემოწმება გავიარე, აქ დასასვენებლად ჩამოვედი, თანახმა ვარ მოვუსმინო ადვოკატს და მისი მოთხოვნები გავითვალისწინო. რამდენიც საჭირო იქნება გირაო, იმდენს გადავიხდი, – აღნიშნავს ბრალდებული.

– მზად ვარ გამოძიებას ჭეშმარიტების დასადგენად დავეხმარო, რაც იპოვეს ის მე არ მეკუთვნის, ვეთანხმები 5.000-ლარიან გირაოს, – აღნიშნა კიდევ ერთმა დაკავებულმა.

– დიდება უკრაინას, დიდება საქართველოს! – ამ სიტყვებით დასრულა ერთ-ერთმა ბრალდებულმა მისი განმარტება, ეთანხმებოდა თუ არა ადვოკატის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას.

როგორც ერთ-ერთმა დაკავებულმა სასამართლოში განაცხადა, მას „ბოევიკი“ და ტერორისტი უწოდეს, ადვოკატის მოთხოვნისას კი უთხრეს, რომ ადვოკატი მხოლოდ სასამართლოში ეყოლებოდათ.

კიდევ ერთი დაკავებულის, იგორ ორლენკოს განმარტებით, დაკავების შემდეგ დაინახა, თუ როგორ გადააადგილებდნენ მათ ჩემოდანს, შემდეგ კი ელვის გახსნის ხმა გაიგო.

– დაკავებისთანავე მოვითხოვე თარჯიმანი, ნახევარი საათის შემდეგ ვილაც გოგო მოიყვანეს, რომელიც რუსულად ოდნავ უკეთესად ლაპარაკობდა, ვიდრე მე ქართულად. მან მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ დაკავებული ვიყავი, – განაცხადა ერთ-ერთმა დაკავებულმა.

სიმიონ სემენჩენკო: „როდესაც უკრაინაში იყო პროტესტი, უკრაინელებს ქართველებით აშინებდნენ, ახლა ქართველებს აშინებენ უკრაინელებით“

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აქვს რამე კავშირი ამ ბიჭების საქართველოში ჩამოსვლასთან, ჩვეულებრივი პროვოკაციაა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს უკრაინელმა დეპუტატმა სიმიონ სემენჩენკომ თბილისის პოლიციის სამმართველოსთან განუცხადა, სადაც თბილისში დაკავებულ უკრაინის 6 და საქართველოს 1 მოქალაქეს გუშინ ბრალი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის წაუყენეს.

– როგორც გავიგე, საქართველოს ხელისუფლებას ძალიან სურს, აქაური ოპოზიცია დაადანაშაულოს იმაში, რომ ხელახალი არჩევნების ჩატარებას ცდილობს არა მშვიდობიანი გზით, არამედ ე.წ. უკრაინელი „ბოევიკების“ მეშვეობით, და დააშინოს ქართველი ძმები გარკვეული ძალადობით. ზუსტად იგივე ხდება უკრაინაშიც, როდესაც იყო პროტესტი, ქართველებით ხდებოდა უკრაინელების დაშინება და ამგვარად ორ ერს, რომელიც ერთად ომობდა და ცხოვრობს გვერდიგვერდ, ერთმანეთით აშინებენ, რათა კორუფციონერებმა გაქურდონ ქვეყანა. ამიტომ მე უარვყოფ ამ ინფორმაციას, ეს არის „ფეიქი“, ეს ხდება პროვოკაციის მიზნით, – აღნიშნა სემენჩენკომ.

რაც შეეხება მინიშნებას, რომ ამ ყველაფერთან კავშირი აქვს სააკაშვილს, უკრაინელი დეპუტატის თქმით, ეს სპეციალურად ვრცელდება. „ძალიან ვწუხვარ, ყველას დაავიწყდა, რომ საქმე უკრაინის 6 და საქართველოს ერთ მოქალაქეს ეხება, რომლებსაც აბსოლუტურად არაფერი დაუშავებიათ და რომელთაც იარაღი ჩაუდეს. მათ ჰყავთ შვილები და ოჯახები და კარგი იქნება, ამ ადამიანებზე იფიქრონ. ეს ადამიანები ჩამოვიდნენ აქ და მათ პრაქტიკულად ყოველდღე ვხვდებოდი. ისინი აქ თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ და არ არსებობს იარაღი, რომლის შემოტანაც თვითმფრინავით არის შესაძლებელი. მათ იარაღი არ სჭირდებოდათ, რადგან აქ პოლიტიკური მიზნებით ჩამოვიდნენ და თუ თქვენი სურვილი იქნება, შემიძლია ექსკურსია ჩაგიტაროთ, ვის სახლებშიც იმყოფებოდნენ, ვის ეკონომიკურ პრობლემებზე ვიმსჯელებ. ეს ადამიანები ბევრ ფულს ხარჯავენ, ბევრ ფულს ხარჯავენ, ბევრ ფულს ხარჯავენ

ინგლისის დაზვერვის შეფმა რუსეთი გააფრთხილა

ინგლისის დაზვერვა ანუ ინტელიჯენს სერვისი (სეკრეტ ინტელიჯენს სერვისი) ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. მას ჯენტლმენის კლუბსაც უწოდებენ. საკმარისია ითქვას, რომ სხვადასხვა დროს მის რიგებში მსახურობდნენ ცნობილი მწერლები დანიელ დეფო, სომერსეტ მოემი, გრემ გრინი, ჯონ ლე კარე, რაფაელ საბატინი და ა.შ. ინტელიჯენს სერვისის თანამშრომლები იყვნენ ლეგენდარული სიდნეი რეილი, აგრეთვე პოლ დიუკსი, ჯორჯ ჰილი და ა.შ. ინტელიჯენს სერვისის ამჟამინდელი შეფი ალექს იანგერიც (დაბ. 1963 წ.) უაღრესად საინტერესო პიროვნებაა. მან სენტ ენდრიუს უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა, დაიცვა დისერტაცია, როგორც მზვერავი, მოღვაწეობდა ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთში. იანგერს ისლამისტი ექსტრემისტების წინააღმდეგ არაერთ ოპერაციაში მოუხდა მონაწილეობა. 2014 წლიდან ის ინტელიჯენს სერვისის შეფია.

იანგერი სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე წარდგა, უნივერსიტეტისა, რომელიც თავის დროზე დაამთავრა. თავის გამოსვლაში იანგერი მამა-შვილ სკრიპალების მკვლელობის მცდელობაზე დაწვრილებით შეჩერდა.

– ეს არა მხოლოდ თავხედური აქციაა, ესაა გამოწვევა როგორც ბრიტანული სახელმწიფოსადმი, ასევე საერთოდ დასავლეთისადმი, – ამბობს იანგერი.

ინტელიჯენ სერვისის შეფმა ხაზი გაუსვა, რომ არსებობს საკმაოზე მეტი მტკიცებულება, რაც სკრიპალების მკვლელობის მცდელობაში რუსების მონაწილეობას ადასტურებს.

– ჩვენ მზად ვართ, ეს მტკიცებულებები ნებისმიერ სახელმწიფოს, მათ შორის თავად რუსეთსაც გადავცეთ, – თქვა ინგლისის დაზვერვის შეფმა.

იანგერმა ხაზი გაუსვა, რომ სკრიპალების საქმე გამონაკლისი არ არის.

– რუსული სპეცსამსახურები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააქტიურდნენ, – განაცხადა მან.

იანგერმა აღნიშნა, რომ რუსები კავშირს ამყარებენ ყველაზე აგრესიულ, ანტიდასავლურ ძალებთან, ყიდულობენ პოლიტიკოსებს, გაზეთებს, ტელეკომპანიებს. ყველაფერი ეს აგრესიული ანტიდასავლური პროპაგანდისათვის გამოიყენება. პარალელურად ხორციელდება დივერსიები და ტერორი. რუსულმა სპეცსამსახურებმა ყველაფერი იღონეს, რომ ბრექსიტი შემდგარიყო. რუსები აქეზებდნენ კატალონიელ სეპარატისტებს და მათი ხელით ცდილობდნენ, ბარსელონაში სისხლიანი შეტაკებები მოეწყოთ.

– რუსეთი დასავლეთის დემოკრატიას დაუპირისპირდა, – მიიჩნევს ბრიტანეთის დაზვერვის შეფი.

იანგერმა აღნიშნა, რომ დასავლეთი აქამდე ცდილობდა, ყოველივე მშვიდად, პოლიტიკური მეთოდებით გადაეჭრა. ამან არ გაამართლა, პირიქით, რუსები კიდევ უფრო გათავხედდნენ. შესაბამისად, რჩება ერთადერთი ვარიანტი: ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს.

– მსურს, რუსები გავაფრთხილო: დასავლეთს გააჩნია ყველა შესაძლებლობა საამისოდ, რომ მოსკოვს საკადრისი პასუხი გასცეს, – ამბობს იანგერი.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. ინგლისელებმა დაადგინეს ის პირები, ვინც მამა-შვილ სკრიპალების მოკვლას ცდილობდა. ამის შემდეგ ბრიტანეთიდან დიდი ოდენობით რუსი დიპლომატი გააძევეს. მსგავსი ნაბიჯი ცივი ომის შემდეგ არ გადადგმულა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია.

– ახლო მომავალში უფრო რადიკალურ ზომებს მივიღებთ, – ამბობს ინგლისის დაზვერვის შეფი.

ტრამპი: „არის რაღაც-რაღაცები, რასაც ვერ დავუშვებთ!“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „ამერიკის ხმას“ ვრცელი ინტერვიუ მისცა. შეკითხვაზე, თუ როდის შეხვდება პუტინს, ტრამპმა მიუგო, რომ შეხვედრის იმედი აქვს, თუმცა საამისოდ შესაბამისი ფონი უნდა შეიქმნას, კერძოდ, პუტინმა უკრაინის მიმართ აგრესია უნდა შეწყვიტოს.

– არსებობს რაღაც-რაღაცები, რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ. კერძოდ, ეს არის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც მოსკოვის მიერ უკრაინის დამორჩილებაა. პუტინმა უნდა იცოდეს, რომ ამერიკა ამას არ დაუშვებს, – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარდება და აშშ-რუსეთის ურთიერთობაც დალაგდება.

– პუტინთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, – ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა. გამალებული შეიარაღების პრობლემაც უკვე მთელი სიმწვავით დგას.

– ამას რუსეთისა და ჩინეთის ლიდერებთან განვიხილავთ! ყველაფერი კარგად იქნება, – ამბობს ტრამპი.

უკრაინა რუსეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დენონსირებას აპირებს

უკრაინის უმაღლეს რადაში რეგისტრირებულია კანონპროექტი, რომელიც რუსეთთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დენონსაციას ითვალისწინებს. ამის გაკეთება 2019 წლის 1 აპრილიდან არის დაგეგმილი.

– ყირიმის ანექსიისა და აზოვის ზღვაზე განხორციელებული აგრესიული ქმედებების შემდეგ რუსეთ-უკრაინის რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი! – აცხადებს პრეზიდენტი პოროშენკო.

ამ განცხადებამ მოსკოვის რეაქცია გამოიწვია. სენატორმა პუშკოვმა თავხედური გამოხდომაც იკადრა, აქაოდა, რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულების დენონსაცია 1 აპრილს ანუ ბრიყვთა დღეს გადაწყვიტეს და ეს სიმბოლურია. აღნიშნული გამოხდომა უპასუხოდ არ დარჩენილა.

– ბრიყვთა დღე პუტინის დღეა! ხელშეკრულების დენონსაციაც 1 აპრილს ამიტომ გადავწყვიტეთ, – ამბობს პოლიტოლოგი ტარანი

სენატორი ბარასო: „პუტინს მხოლოდ ჯოხის ენა ესმის!“

ამერიკელმა სენატორმა, რესპუბლიკელმა ბარასომ განაცხადა, რომ პუტინთან დიალოგი სრული უაზრობაა. რუსეთის პრეზიდენტი ამას სისუსტედ აღიქვამს და კიდევ უფრო თავხედდება.

– პუტინს მხოლოდ ჯოხის ენა ესმის, – თქვა სენატორმა.

ბარასოს აზრით, დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები უნდა შემოიღოს და პარალელურად ნატოს ან აშშ-ის სამხედრო ხომალდები აზოვის ზღვაში გაგზავნოს.

– სხვაგვარად პუტინის შეჩერება შეუძლებელია, – ამბობს სენატორი.

ჩეხეთის კონტრდაზვერვა: „რუსეთი უპირველეს საფრთხედ გადაიქცა“

თანახმად ჩეხეთის კონტრდაზვერვის ინფორმაციისა, ქვეყანაში რუსეთის სპეც-სამსახურების მკვეთრი გააქტიურება დაფიქსირდა. რუსები არა მხოლოდ კიბერშეტევებს ახორციელებენ, ისინი ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, იყიდონ გაზეთები, პოლიტიკური პარტიები, ტელეარხები.

– აღნიშნული ღონისძიებები ჩეხეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის წინააღმდეგ არის მიმართული, – ნათქვამია ჩეხი კონტრმზვერავების დასკვნაში.

აშშ-ში ჯორჯ ბუშ-უფროსთან გამოთხოვების ცერემონია დაიწყო

ვაშინგტონში ჯორჯ ბუშ-უფროსთან გამოთხოვების ცერემონია დაიწყო. კუბო მისი ცხედრით კაპიტოლიუმში დაასვენეს. ბუშის ხსოვნას პატივი მიაგეს პრეზიდენტმა ტრამპმა და მისმა მეუღლე მელანიამ.

ჯორჯ ბუშ-უფროსს ტეხასში დაკრძალავენ.

ევროკავშირი რუსეთის მიმართ ახალ სანქციებს შემოიღებს

ევროკავშირი რუსეთის მიმართ ახალ სანქციებს შემოიღებს. მიზეზი მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლა და დონბასში „არჩევნების“ ჩატარებაა.

– სანქციები იმ პირებზე გავრცელდება, რომლებმაც ეს აქციები დაგეგმეს და განახორციელეს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თანახმად ინფორმაციისა, სანქციებს შობამდე, ანუ 25 დეკემბრამდე შემოიღებენ.

ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ

სამშაბათს ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრება დაიწყო. ის ორ დღეს გაგრძელდება. მისი ძირითადი თემა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიაა. შეხვედრაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეოც მონაწილეობს.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რუსეთის აგრესიული ქმედებები დაგმო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსული აგრესიის პასუხად ერთიანი ტაქტიკა უნდა შეიმუშაოს.

– ჩვენი შეკრების მიზანიც ეს არის, – თქვა სტოლტენბერგმა.

კატარი ოპეკიდან გავიდა

კატარი ოპეკიდან გავიდა. ამის თაობაზე კატარის ენერგეტიკის მინისტრმა ალ- შაადმ განაცხადა.

– ოპეკში დარჩენა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, – განაცხადა მან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბოლო წამი ქართულია – შერმადინმა ისრაელი დაამარცხა

საქართველო-ისრაელი 71:69 (ოტ)

(9:11, 25:19, 16:19, 14:15, 7:5)

– ქართველები ამაყი და მებრძოლი ხალხია. სწორედ ამიტომ დავთანხმდი აქ მუშაობას, – იტყვის ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის მინიმალური შანსი ჰქონდა, მართლაც, საქართველოს ნაკრების ყველა წევრმა მაქსიმუმი გაიღო მოსაგებად. თითქოს სიმბოლური იყო, რომ მატჩის ბედი ბოლო წამზე ისე გადაწყდა, რომ ვიდეო გამეორების ნახვა გახდა საჭირო. სპორტის სასახლეში გამართული წინა მატჩი ევროპის გრანდ საბერძნეთთან სწორედ ბოლო წამზე, ეპიზოდის ვიდეოფირზე ნახვის შემდეგ წავაგეთ. ბერძნებმა 16 სექტემბრის მატჩში გამარჯვების ბურთი საფინალო სირენის თანხლებით ჩაგვიგდეს და გადახვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ დროში ჩაეტივნენ. ისრაელთანაც, თანაბარ ანგარიშზე, ოვერტაიმის ბოლო წამზე, გიორგი შერმადინის ჩაგდებულ ბურთს ასევე ფირის გადახვევა დასჭირდა. მსაჯებმა ბურთი ჩათვალეს და ისრაელს შესატევად 0,3 წამი დაუტოვეს, რაც საქართველოს გამარჯვებას ნიშნავდა და როცა ებრაელებმა ბურთი განწირულად შემოიტანეს, საფინალო სირენის ხმაც გაისმა – 71:69.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ისრაელი დაამარცხა. თუმცა იმ ემოციას, იმ სიხარულს და ფანტასტიკურ ატმოსფეროს ვერანაირად ვერ გადმოსცემს, რაც ამ მოგებას და მთლიანად მატჩს თან ახლდა. რაც მთავარია, ქართველებმა დაამარცხეს გუნდი, რომელსაც ჯგუფიდან გასვლის საკმაოდ რეალური შანსი ჰქონდა. ისრაელს დარჩენილი 3 შეხვედრა რომ მოეგო, ჯგუფიდან გადიოდა და თბილისში თელ ავივის მაკაბის ის კალათბურთელები იახლა, რომლებმაც წინა ტურში ებრაელებს სერბეთი დაამარცხებინეს. ჰო, მაკაბი თამაშობს ევროლიგაში, ხოლო ამ ტურნირში მოასპარეზე კალათბურთელებისთვის ფიბას და ულებ-ის (ევროლიგის ორგანიზატორი) შეუთანხმებლობის გამო ნაკრების კარები დახურულია. და მაინც, ებრაელებმა მოახერხეს და საკუთარი დედაქალაქის გუნდიდან მოთამაშეები დაიმატეს, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს დამარცხება ვერ შეძლეს.

საქართველოს ნაკრები მატჩის უდიდეს ნაწილს იგებდა, ერთხანს 10 ქულითაც, თუმცა ებრაელები პერიოდული აფეთქებებით იოლად აბათილებდნენ ჩამორჩენას. ილიას ზუროსმა კარგად გამოსცადა 2 ცენტრით თამაშის ტაქტიკა, რომელმაც ისრაელთან მატჩში გაამართლა. მართალია, გოგა ბითაძეს თამაში სასტარტო ხუთეულში არ დაუწყია, თუმცა ის მოედანზე მალევე გამოვიდა და გიორგი შერმადინთან ერთად მეტოქის ფარქვეშეთი დაიპყრო. როცა გოგა ბურთს სამწამიან ზონაში მიიღებდა, ის შეუჩერებელი გახლდათ. ბურჯანაძე კარგად ირჯებოდა, თუმცა როგორც მწვრთნელმა ნამატჩევს თქვა, 2 ცენტრით თამაშით გუნდი მეტ სარგებელს იღებდა და აქცენტიც ამაზე გააკეთა.

ბურთს ვეტერანი და ძალიან გამოცდილი გიორგი ცინცაძე ათამაშებდა, რომელმაც ბოლო წლების ერთ-ერთი შედეგიანი თამაში ჩაატარა – 14 ქულა ჩააგდო. კარგად ირჯებოდა დუდა სანაძე, რომელიც უფრო მეტად იბრძოდა, ვიდრე სამქულიანებს ესროდა. ებრაელების დაცვა საკმაოდ ეფექტური გახლდათ, განსაკუთრებით, მეორე ნახევარში, როცა სტუმრებმა 9-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და პირველ წუთებზე დაკარგული ლიდერობა, შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე დაიბრუნეს.

კარგად ჩაერთნენ თამაშში მიხეილ ბერიშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, ლევან ფაცაცია და ახალგაზრდა რატი ანდრონიკაშვილი. რატიმ მხოლოდ პირველ პერიოდში ითამაშა და შედეგიან გადაცემასთან ერთად საჭირო ჩაჭრაც მიითვალა. ერთია, მწვრთნელი ბოლომდე ვერ ენდო ახალგაზრდა კალათბურთელს, რომელსაც ნერვიულობაც ეტყობოდა. თად მაკფადენი, რომელიც საწყის 3 პერიოდში რიგიანად ვერ ესროდა, გადამწყვეტ მომენტში, ერთმანეთის მიყოლებით, 2 სამქულიანი ჩააგდო.

ებრაელები მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე 4 ქულით დაწინაურდნენ, რაც კარგი დაცვისა და ზუსტი შორი სროლების დამსახურება გახლდათ. ამ მომენტში ზუროსმა ბითაძე და შერმადინი კიდევ ერთხელ შეაწყვილა, თუმცა ებრაელთა დაცვა იმდენად კარგად თამაშობდა, რომ ქართველებმა ბოლო პერიოდის საწყის 5 წუთში მხოლოდ 2 ქულა ჩააგდეს. ბითაძემ, სამწამიანში რომ ვერ შეაღწია, პერიმეტრზე ავიდა და სამქულიანი მიითვალა. კვანძიც აქ გაიხსნა და ქართველებმა ლიდერობა დაიბრუნეს. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და ბოლო წუთზე, ორმხრივი შეცდომების ფონზე, ებრაელებმა ანგარიში საჯარიმოებით გაათანაბრეს. მატჩის ძირითადი დრო 64:64 დასრულდა და შეხვედრა დამატებით 5-წუთეულში გადავიდა.

ნერვების თამაშში და კვლავ ორმხრივი შეცდომების ფონზე ბოლო წამებმა ისე მოატანა, რომ ისევ ფრე დაფიქსირდა – 69:69. ბოლო შეტევაში მაკფადენმა კარგად მოძებნა ფართან მიტოვებული შერმადინი, რომელმაც დამაწინაურებელი ორქულიანი ჩააგდო თუ არა, საფინალო სირენა გაისმა. როგორც ვთქვით, გადახვევის შემდეგ ბურთი ჩაითვალა, რამაც საქართველოს ნაკრებს გამარჯვება და გულშემატკივრებს ზღვა სიხარული მიანიჭა.

საკალათბურთო ზეიმი, რომელიც ორგანიზატორთა მხრიდან არაერთი თანამედროვე გასართობი ნომრით იყო გალამაზებული, ქართველების ლამაზი გამარჯვებამ დააგვირგვინა. მაყურებელთათვის დიდ შესვენებაზე გათამაშდა პრიზები.

მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო 2 მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2019 წლის 21 თებერვალს საბერძნეთში ამ ქვეყნის ნაკრებთან, ხოლო 24-ში თბილისში – ესტონეთთან გამართავს. რაც შეეხება შანსებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავიდეს, საქართველოს ნაკრებმა დარჩენილი 2 შეხვედრა უნდა მოიგოს, ხოლო ჯგუფში ჩვენს წინ ერთადერთი ქულით მყოფმა სერბეთმა, რომელმაც დღეს საბერძნეთი 84:61 დაამარცხა, დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა წააგოს.

ილიას ზუროსი:

– პირველ რიგში, მინდა მივულოცო კალათბურთელებს, რომლებმაც მთელი გულით ითამაშეს. მადლობა მწვრთნელებს და მთელ პერსონალს. ადვილი არ იყო, რომ ასეთ მოკლე დროში გუნდი 2 მატჩისთვის კარგად მომზადებულიყო. ასეთ ვითარებაში, ყველაზე სწორი გამოსავალია დაცვაში კარგი თამაში და ეს მოვახერხეთ კიდეც. ჩვენი კალათბურთელები 200%-ით დაიხარჯნენ და დაამარცხეს ძალიან ძლიერი გუნდი, რომელმაც თავის მხრივ, სერბეთს მოუგო. ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველი გულშემატკივარი, რომელიც მთელი თამაში გვეხმარებოდა და განსაკუთრებით ბოლო წუთებში. როდესაც საქართველოში ჩამოვდიოდი, ვიცოდი, რომ ქართველები იყვნენ ამაყი და მებრძოლი ხალხი და ეს ყველა შეხვედრაში მტკიცდება. თორნიკე შენგელიამ ყველას გვაჩუქა სამაჯური, რომელსაც აწერია ქართული სული. საქართველოს ნაკრები ბოლომდე იბრძვის ყველა შეხვედრაში... გიორგი შერმადინმა და გოგა ბითაძემ ერთად ძალიან კარგად ითამაშეს. ბექა ბურჯანაძე დიდი ხნის შემდეგ დაგვიბრუნდა და მთელი გულით ითამაშა. გვყავს ახალგაზრდა რატი ანდრონიკაშვილი, რომელიც საქართველოს ნაკრების მომავალია. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, რომ ახალ თაობას მივცეთ ასპარეზი. დიდი მადლობა ყველას, ვინც გვიგულშემატკივრა: ჩვენ ერთი გუნდი ვართ.

გიორგი შერმადინი:

– პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებმაც სპორტის სასახლეში შესანიშნავი ატმოსფერო შექმნეს. ასევე, მინდა მივულოცო გამარჯვება მწვრთნელებს. მნიშვნელოვანი მოგება იყო, რადგან ჩვენ დავამარცხეთ ძალიან ძლიერი გუნდი, რომელსაც ევროლიგის მოთამაშეები ჰყავდა და რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსს ინარჩუნებდა. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი გულშემატკივარი საუკეთესოა. ბოლო წამზე ჩაგდებული ბურთით ბედნიერი ვარ, რადგან მოვიგეთ თამაში და გულშემატკივარი გავახარეთ. იმ მომენტში უბრალოდ დავფრინავდი ბედნიერებისგან. ეს კომბინაცია ჩვენმა მწვრთნელმა დახაზა, რამაც გამოიღო კიდეც შედეგი.

ოდეტ კატაში, ისრაელის ნაკრების მწვრთნელი:

– ძალიან რთული თამაში იყო. სამწუხაროდ, ამ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებთან მეორეჯერ დავმარცხდით. მსაჯმა 3 მომენტში არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. გასაგებია, რომ ასეთ დაძაბულ შეხვედრაში რთულია მსაჯობა, მაგრამ ამით ეს შეცდომები ვერ გამართლდება. ფიბამ რამე უნდა იღონოს, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს. თუმცა, ჩვენი მარცხის მიზეზი მხოლოდ მსაჯობა არ იყო. პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ და ზოგადად, შეტევაში გვიჭირდა. ჯერ არ ვიცი, დავკარგეთ თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მოტივაციის პრობლემა არ გვექნება. ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს, ჩვენ წარმოვადგენთ ისრაელს და ამით ყველაფერია ნათქვამი. დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმალურად მოვინდომებთ.

შედეგები

3 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ვესტ ბრომვიჩი-ბრენტფორდი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ბილბაო 3:0

საატჩინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	14	8	4	2	37:19	28
2.სევილია	14	8	3	3	26:15	27
3.ატლეტიკო	14	6	7	1	18:10	25
4.ალავესი	14	7	3	4	18:14	24
5.რეალი	14	7	2	5	22:19	23
6.ლევანტე	14	6	3	5	23:21	21
7.ხირონა	14	5	6	3	17:16	21
8.ესპანიოლი	14	6	3	5	17:16	21
9.ხეტაფე	14	5	5	4	15:11	20
10.სოსიედადი	14	5	4	5	17:16	19
11.ბეტისი	14	5	4	5	14:17	19
12.ვიბარი	14	5	3	6	15:19	18
13.სელტა	14	4	5	5	25:22	17
14.ვალენსია	14	3	8	3	11:11	17
15.ვალიადოლიდი	14	4	5	5	11:14	17
16.ლეგანესი	14	4	4	6	14:18	16
17.ვილიარეალი	14	3	5	6	13:16	14
18.ბილბაო	14	1	8	5	14:23	11
19.რაიო	14	2	4	8	15:28	10
20.უესკა	14	1	4	9	12:29	7

გერმანია. ბუნდესლიგა

ნიურნბერგი-ლევერკუზენი 1:1

საატჩინიო ცხრილი:

1.დორტმუნდი	13	10	3	0	37:13	33
2.გლადბახი	13	8	2	3	30:16	26
3.ლაიპციგი	13	7	4	2	24:10	25
4.ბაიერნი	13	7	3	3	25:18	24
5.აინტრახტი	13	7	2	4	30:16	23
6.ჰოფენჰაიმი	13	6	3	4	28:19	21
7.ჰერტა	13	5	5	3	21:20	20
8.ვოლფსბურგი	13	5	3	5	18:18	18
9.ვერდერი	13	5	3	5	21:22	18
10.მაინცი	13	5	3	5	12:14	18
11.შალკე	13	4	2	7	14:18	14
12.ლევერკუზენი	12	4	2	6	18:24	14
13.ფრაიბურგი	13	3	5	5	16:22	14
14.აუგსბურგი	13	3	4	6	20:22	13
15.ნიურნბერგი	13	2	5	6	14:30	11
16.შტუტგარტი	13	3	2	8	9:26	11
17.ჰანოვერი	13	2	3	8	15:28	9
18.ფორტუნა	13	2	3	8	13:29	9

იტალია. სერია ა

ატალანტა-ნაპოლი 1:2

საატჩინიო ცხრილი:

1.იუვენტუსი	14	13	1	0	31:8	40
2.ნაპოლი	14	10	2	2	27:14	32
3.ინტერი	14	9	2	3	27:12	29
4.მილანი	14	7	4	3	24:18	25
5.ლაციო	14	7	3	4	20:16	24
6.ტორინო	14	5	6	3	19:16	21
7.რომა	14	5	5	4	24:18	20
8.სასუოლო	14	5	5	4	21:19	20
9.პარმა	14	6	2	6	15:18	20
10.სამპდორია	14	5	4	5	21:17	19
11.ატალანტა	14	5	3	6	26:19	18
12.ფიორენტინა	14	4	6	4	18:13	18
13.კალიარი	14	3	7	4	13:17	16
14.ჯენოა	14	4	3	7	19:29	15
15.სპალი	14	4	2	8	13:23	14
16.უდინეზე	14	3	4	7	12:18	13
17.ემპოლი	14	3	4	7	17:25	13
18.ბოლონია	14	2	5	7	12:22	11
19.ფროზინონე	14	1	5	8	11:29	8
20.კიევო	14	0	5	9	11:31	2

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ფოჯა-ვენეცია 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ოსერი-ლორიანი 0:0

ჰოლანდია. პრიმერა ლიგა

რიუ ავე-სპორტინგი 1:3

ხუთეთი. პრემიერლიგა

არსენალი-ზენიტი 4:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-პაოკი 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ოლიმპიაკოსი-პანეთოლიკოსი 2:1

მალათია-აკხისარი 1:1

ფენერბახჩე-ქაშიმფაშა 2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

იაბლონეცი-ზლინი 4:0

ოპავა-სლავია 2:3

პორტუგალია. ექსტრიჟა

პიასტი-პოგონი 3:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ვორსკლა-ოლეკსანდრია 0:1

დინამო-ჩერნომორეცი 2:0

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ვეიერ 2:1

ლუკა მოდრიჩი ოქროს ბურთის მფლობელია

მადრიდის რეალისა და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა. ეს პარიზში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე გაირკვა. თუმცა, კულუარულად ინფორმაციამ მანამდეც გაჟონა.

მოდრიჩმა კრიშტიანუ რონალდუსა და ლიონელ მესის 10-წლიანი ჰეგემონია დაამხო. პორტუგალიელსა და არგენტინელს „ოქროს ბურთი“ 5-5-ჯერ ჰქონდათ მოპოვებული.

აღსანიშნავია, რომ მოდრიჩმა 2018 წელს ყველა მთავარი ინდივიდუალური პრიზი მოიპოვა: ის გახდა 2018 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო ფეხბურთელი უეფასა და ფიფას ვერსიებით.

– მინდა იმ ადამიანებს, რომლებიც დაეხმარნენ, ყველას ვინც მადრიდის რეალსა და ხორვატიის ნაკრებში მუშაობს, ჩემს ნათესავებს, მეუღლესა და შვილებს მადლობა გადავუხადო. როდესაც პატარა ვიყავი, ვოცნებობდი, რომ დიდ კლუბში მეთამაშა, მაგრამ „ოქროს ბურთის“ მოგება ჩემთვის რაღაც უფრო მეტია. ეს გასაოცარია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ჯილდოს მესისა და რონალდუს შემდეგ დავეუფლე, არამედ იმიტომ, რომ „ოქროს ბურთი“ ძალიან ბევრ შესანიშნავი შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელთან კონკურენციის შედეგად მოვიგე. რადგან გავიმარჯვე, ანუ რაღაც განსაკუთრებული გავაკეთე. ამ ბრწყინვალე მოთამაშეებს შორის გამორჩევა ჩემთვის ძალიან დიდი მიღწევაა. წარმატების გასაღები? რთული სათქმელია... პირველ რიგში, ეს ალბათ რთულ მომენტებში ძლიერი შრომის დამსახურებაა. ყოველთვის ძალიან რთულია მიაღწიო იმას, რასაც ცდილობ, მაგრამ ადრე თუ გვიან, ამის შესაძლებლობა მოგეცემა და შენ ასეთი მომენტისთვის მზად უნდა იყო.

მოდრიჩმა გაასწრო რონალდუს, რომელიც, რა თქმა უნდა, ცერემონიალზე არ იმყოფებოდა. მესამე ადგილზე ფრანგი ანტუან გრიზმანი გავიდა, მეოთხეც ფრანგისაა – 19 წლის კილიან მბაპე თვით ლიონელ მესის გასწრო, რომელმაც მხოლოდ მე-5 ადგილი დაიკავა. არგენტინელი სამეულში 2006 წლის მერე პირველად ვერ მოხვდა.

საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:

1. ლუკა მოდრიჩი (ხორვატია); 2. კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია); 3. ანტუან გრიზმანი (საფრანგეთი); 4. კილიან მბაპე (საფრანგეთი); 5. ლიონელ მესი (არგენტინა); 6. მოჰამედ სალაჰი (ეგვიპტე); 7. რაფაელ ვარანი (საფრანგეთი); 8. ედენ აზარი (ბელგია); 9. კევინ დე ბრუინი (ბელგია); 10. ჰარი კეინი (ინგლისი);

„ოქროს ბურთი“ პირველად ქალთა შორისაც დაწესდა და მისი მფლობელი ნორვეგიელი ადა ჰეგერბერგი გახდა, რომელმაც ლიონთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ტიტული გადაეცა წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელსაც – ეს ჯილდოც პირველად დაწესდა და ლეგენდარული რაიმონ კოპას სახელს ატარებს. პირველი გამარჯვებული კი პსჟ-სა და საფრანგეთის ნაკრების შემტევი კილიან მბაპეა.

სამეული კი, ასეთია:

1. კილიან მბაპე (საფრანგეთი); 2. ტრენტ ალექსანდერ-არნოლდი (ინგლისი); 3. პატრიკ კუტრონე (იტალია);

„ფრანს ფუტბოლი“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს 1956 წლიდან ყოველწლიურად აჯილდოებს. გამარჯვებულს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ხმის მიცემით ავლენენ. მხოლოდ 2010-იდან 2015 წლამდე „ფრანს ფუტბოლი“ ფიფასთან გაერთიანდა და გამარჯვებულს ერთად აჯილდოებდნენ, თუმცა, 2016 წლიდან მხარეებმა თანამშრომლობა აღარ ისურვეს.

როგორც გითხარით, ბოლო 10 წელია, „ოქროს ბურთს“ მესი და რონალდუ ინაწილებდნენ. არგენტინელს ჯილდო 2009-2012 და 2015 წლებში აქვს მოგებული, პორტუგალიელს კი, 2008, 2013-2014 და 2016-17 წლებში.

მესი და რონალდუ 5-5 მოგებით რეკორდსმენები არიან. 3-3 პრიზი მოპოვებული აქვთ მიშელ პლატინის (საფრანგეთი), იოჰან კრუიფსა (ჰოლანდია) და მარკო ვან ბასტენს (ჰოლანდია). 2-2-ჯერ იმარჯვეს ფრანც ბეკენბაუერმა (გერმანია), რონალდომ (ბრაზილია), ალფრედო დი სტეფანომ (ესპანეთი), კევინ კიგანმა (ინგლისი).

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

არიენ რობენს ბაიერნში კარიერის დასრულება ტიტულით სურს

მიუნხენის ბაიერნის ჰოლანდიელმა შემტევმა ნახევარმცველმა არიენ რობენმა საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანული გრანდის რიგებში ეს მისი უკანასკნელი საფეხბურთო სეზონია.

გერმანულ მედიაში უმალვე გამოქვეყნდა 34 წლის ფეხბურთელთან ინტერვიუ.

– 10 წლის თავზე მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბაიერნში კარიერა დაასრულოთ. როგორ მიხვედით აქამდე?

– რა თქმა უნდა, საკუთარ მომავალზე ბევრი ვიფიქრე. გასულ წელსაც იგივე მდგომარეობა იყო, როდესაც ჩვენ კიდევ 1 წლით გავახანგრძლივეთ კონტრაქტი. ამ წელსაც განვიხილეთ ეს საკითხი, თუმცა მივედი იმ აზრამდე, რომ მოვიდა წასვლის დრო. ეს 10 წელი ბრწყინვალე პერიოდი იყო. ზაფხულში 35 წელი შემისრულდება და მიმაჩნია, რომ ჩემი ეს გადაწყვეტილება წამადგება როგორც მე, ისე კლუბსაც. ინტუიციამ მიკარნახა ეს გადაწყვეტილება. ცხადია, აქ ყოფნით ძველებურად ბედნიერი ვარ, თუმცა დგება მომენტი, როდესაც აცნობიერებ, რომ საკმარისია.

– მაგრამ კარიერის დასრულებას არ აპირებთ.

– რაც შეეხება ზოგადად კარიერის დასრულებას, ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება და შესაძლებელია, ყველაფერი მოხდეს. სწორედ ამიტომ დადგა საჭირო მომენტი გადაწყვეტილების გამოცხადების. ჩვენ ეს საკითხი გავიარეთ და ახლა ყველამ იცის, რომ ეს ჩემი უკანასკნელი სეზონია მიუნხენში. მქონდა საკმარისი დრო იმისათვის, რომ კარგად გამეცნობიერებინა ჩემი მომავალი და შემდეგი ნაბიჯი. შესაძლებელია მთლიანად დავასრულო კარიერა, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ კვლავ განვაგრძო თამაში, იმ შემთხვევაში თუ კარგ და საინტერესო წინადადებას მივიღებ.

– გასულ სამშაბათს, უეფას ჩემპიონთა ლიგაზე დუბლი გაიფორმეთ. ფიზიკური თვალსაზრისით შესანიშნავ ფორმაში ხართ. ღირს ასეთ სიტუაციაში დაასრულოთ კარიერა?

– მოხარული ვარ, რომ 34 წლის ასაკში გარემარების პოზიციაზე ძველებურად შემიძლია მაღალ დონეზე თამაში. ეს რაღაც განსაკუთრებულია და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. უარესი იქნებოდა კარიერის დასრულება მაშინ, როდესაც ხვდები, რომ ბურთის გორება აღარ შეგიძლია. ასე რომ, მიხარია ასეთი მოცემულობა, ეს კარგია.

– თითქმის 10 წელია, რაც ბაიერნში ხართ, რას ნიშნავს ეს კლუბი და ქალაქი შენთვის?

– ძალიან ბევრს! მათ შორის ჩემი ოჯახისთვისაც. 10 წელი ეს ძალიან დიდი დროა. ჩემი 2 შვილი სწორედ აქ დაიბადა. მე ძალიან მადლიერი ვარ ამ კლუბის. ქალაქის, ადამიანების, გულშემატკივრების მხრიდან მუდამ ვგრძნობდი მხარდაჭერას. ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდის ნაწილი გავხდი და ჩემი წვლილი შევიტანე მის წარმატებაში.

– ფრანკ რიბერისთან ერთად, ბაიერნის ახალი ეპოქა შექმენით. როგორ ფიქრობ, ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელები, როგორებიც არიან კინგსლი კომანი და სერჟ გნაბრი, შეძლებენ ანალოგიურის მიღწევას?

– ამას მთელი გულით ვიმედოვნებ. მათ წინ ძალიან დიდი გზა აქვთ გასავლელი, თუმცა ამავე დროს მათ უდიდესი ტალანტი გააჩნიათ. ასეთი ტალანტები არა მხოლოდ ჩვენს პოზიციაზეა. იმედს ვიტოვებ, ბაიერნი განაგრძობს შემდგომ განვითარებას. სერჟი და კინგსლი ძალიან კარგი ბიჭები არიან. მათ სურთ საკუთარი თავის განვითარება გააგრძელონ და აჩვენონ თავიანთი შესაძლებლობები გულმოდგინე მუშაობით. ორივე ამ ფეხბურთელს შესანიშნავი მახასიათებლები აქვს. სიამოვნებით ვაკვირდები მათ. იმედი მაქვს, პროგრესირებას შეძლებენ და კლუბში საკვანძო როლი ექნებათ.

– რა ურჩევდით ორივე ამ ფეხბურთელს?

– ჩვენ ყოველდღე ერთად ვმუშაობთ და ვურთიერობთ. აუცილებლობის დროს ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ. გარდა ამისა, ამ პოზიციაზე უმნიშვნელოვანესია გამოცდილება. აუცილებელია მისი დაგროვება, ბევრი მუშაობა. არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდე უკვე მიღწეულით და მუდამ უნდა ეცადო, რომ კიდევ უფრო უკეთესი გახდე. შენი თამაშით გუნდს უნდა ეხმარებოდე.

– რა მიზნები გაქვთ ბაიერნში ბოლო სეზონში?

– ცოტა უცნაურია ამაზე ფიქრი. ჩვენ უკვე ვმსჯელობთ ჩემს წასვლაზე, თუმცა წინ ჯერ კიდევ დიდი დროა. სასიამოვნოა, როდესაც ვაცნობიერებ, რომ ბენფიკას წინააღმდეგ გამართულ ტოპ-ბრძოლაში, ტოპ-თამაში ვაჩვენე. სწორედ ამის გაგრძელება მსურს. ჩემი სურვილია, ბოლო მომენტამდე საჭირო როლი შევასრულო და ჩემი თამაშით გუნდს დავეხმარო. მიზანი? როგორც მინიმუმ, ერთი ტიტულის დაუფლებაა.

ბებიამ შეცდომით ციხეში ათი საათი მამაკაცების გარემოცვაში გაატარა

აშშ-ში 55 წლის ქალმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ფლორიდის შტატის ციხის წინააღმდეგ, რომლის თანამშრომლებმაც ის ტრანსგენდერად ჩათვალეს.

ინციდენტი რამდენიმე წლის წინ მოხდა. ფიერ პიჩარდო დე ველოსი მაიამიში დომინიკანის რესპუბლიკიდან ახალშობილი შვილიშვილის სანახავად ჩაფრინდა. აეროპორტში ის ნარკოტიკების შენახვისთვის დააპატიმრეს. პოლიციელებმა ოქმში ის, როგორც ქალი, ისე ჩაწერეს და საკორექციო ცენტრში გადაიყვანეს. მანამდე კი ის გააშიშვლეს და გაჩხრიკეს.

ცენტრში ველოსს მედდის დახმარება დასჭირდა, ვინაიდან მაღალი წნევა აღმოაჩნდა. მედდამ ჰორმონალური აბები უპოვა და ქალს ჰკითხა, თუ რომელიც სქესის იყო. გაკვირვებულმა ველოსმა მას უპასუხა, რომ მდედრობითის. საბოლოოდ მედდამ დასკვნაში ტრანსგენდერი ჩაუწერა, მამაკაცის ორგანოებით, ქალური ქცევით. ექიმმა დასკვნა წაიკითხა, მისი შემოწმება არ დაუწყია და ქალი მამაკაცების იზოლატორში გააგზავნა.

ველოსი 40 მამაკაცთან ერთად ათი საათი იყო საკანში ჩაკეტილი. გარშემომყოფები მას აღიზიანებდნენ, ის კი ტუალეტში გასვლასაც ვერ ბედავდა.

ციხის თანამშრომლები შეცდომას მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როდესაც ქალის სანახავად მისი ნათესავები მივიდნენ. შეშინებული ქალი მამაკაცების საკნიდან გამოიყვანეს და აიძულეს, კიდევ ერთი სამედიცინო შემოწმება გაევლო. მისი თქმით, მამაკაცი ზედამხედველები მას დასცინოდნენ, ერთმა კი ფოტოსურათიც კი გადაუღო. მას შემდეგ, რაც მისი სქესი საბოლოოდ დადგინდა, ის ისევ საკორექციო ცენტრში დააბრუნეს.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ველოსმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მედდამ და ექიმმა „წინასწარგანზრახული გულგრილობა“ გამოიჩინეს. საქმის სასამართლო მოსმენა გრძელდება.

ამერიკელი პატიმრები პორნოს დაბრუნებას ითხოვენ

აშშ-ში პატიმრები იბრძოლებენ იმისთვის, რომ მიაღწიონ იმ კანონის გაუქმებას, რომელმაც ციხის პორნოსამკითხველოების დახურვა გამოიწვია.

აიოვას შტატის ქალაქ ფორტ-დოჯის ციხის 58 პატიმარმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომელშიც ამტკიცებენ, რომ ეს აკრძალვა პორნოგრაფიაზე მათ კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს. ისინი კანონის მიღებაში „რელიგიურ ტირანებს“ ადანაშაულებენ, რომელთაც „მიუფურთხებიათ“ აშშ-ის კონსტიტუციის და დამოუკიდებლობის დეკლარაციისთვის. მოსარჩელეებმა მოითხოვეს, რომ ყოველ მათგანს კომპენსაციის სახით 25 ათასი დოლარი გადაუხადონ.

სარჩელი სასამართლოში ოქტომბრის ბოლოს შევიდა. მისმა განმხილველმა მოსამართლემ დაადგინა, რომ სარჩელისთვის შეტანის საფასური ყველა მოსარჩელემ უნდა შეიტანოს. მათ შეუძლიათ გააგზავნონ მოთხოვნა შეტანის გაუქმებაზე, მაგრამ ამის შემდეგ მათ ახალი საჩივრის შეტანა მოუწევთ.

პორნოგრაფიისთვის სამკითხველოები შტატის ციხეებში დაახლოებით 30 წლის წინ გაიხსნა. 2018 წელს აიოველმა კანონმდებლებმა გამოსასწორებელი დაწესებულებების დეპარტამენტს აუკრძალა პატიმრებს შორის ისეთი კომერციული მასალების გავრცელება, რომელიც სექსუალური შინაარსისაა. ასევე კანონი კრძალავს საკნებში შიშველი ადამიანების ფოტოსურათების შენახვას.

თახვები სუპერმარკეტს პროდუქტებისთვის ესტუმრნენ

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში თახვების წყვილი სუპერმარკეტში შევიდა და სათვალთვალო კამერის ობიექტივში აღმოჩნდნენ. უჩვეულო მყიდველების შესახებ ინფორმაცია და ვიდეო ჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გაავრცელა.

ერთ-ერთი თახვი მაშინვე უკან გაბრუნდა, მეორეს კი გამყიდველის დახმარება დაჭირდა. სავაჭრო ცენტრის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ ცხოველები სუპერმარკეტში უფასო სასუსნავისთვის შევიდნენ. მათი თქმით, თახვები მათ სავაჭრო დაწესებულებას მეზობლად მდებარე მდინარე ნეშუადან ესტუმრნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 დეკემბრისათვის

ვერძი – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანკალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 3. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 4. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა; 5. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 6. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 8. ტკბილეული, დესერტი; 11. ეთერზეთების შემცველი, ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი წვენი; 14. დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; 15. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 16. ფასიანი ქაღალდი; 17. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 19. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 21. თაფლში მოხარშული ხორბალი; 22. მცენარეთა სამყარო.

თარაზულად: 1. მსხვილი, სურნელოვანი თეთრი ყვავილების მქონე დეკორატიული მცენარე; 5. პატარა რესტორანი; 7. მხდალი, მშიშარა ადამიანი; 9. აშშ-ის კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანის ვაზის ფრანგული ჯიში; 12. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის შაქრად გარდაქმნას ორგანიზმში; 13. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. თურქეთის ძველი სახელწოდება; 17. სასულე ორკესტრით შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 18. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 20. მოკლეღულიანი შაშხანა; 22. პირველი ატომური რეაქტორის შემქმნელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 23. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ღვიძლის დაავადება; 25. ზნეობრივი ხასიათის მოკლე ალეგორიული მოთხრობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქიმერა; 2. ფითი; 3. ლაფონტენი; 4. ტანგო; 5. ნეოლითი; 8. ხარება; 9. გუტიერესი; 12. ვეტელი; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

თარაზულად: 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. მესხეთი; 9. გიბონი; 10. ბონი; 11. დეპორტი; 13. ბროლი; 15. ლეჟავა; 17. დიონისე; 18. ხეტაფე; 19. პრინცი; 20. ყიფიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ნეირატი; 3. ლუიზიანა; 4. ამაშუკელი; 5. ვაიდა; 6. ალგეთი; 8. ყმუილი; 11. დენტინი; 14. იერუსალიმი; 15. ჟურფიქსი; 16. ჰუმანიზმი; 17. კარტიე; 19. ინვაზია; 21. ცაიში; 22. ჩორდი.

თარაზულად: 1. ენოლოგია; 5. ვეძა; 7. ჯოყოლა; 9. ცივილიზაცია; 10. გუდაუთა; 12. ათანელი; 13. ავენიდა; 16. ჰონოლულუ; 17. კაჟი; 18. ციცქა; 20. აქსაკალი; 22. ჩაქვი; 23. პალიტრა; 24. ზღარბი; 25. შრომა.

კახი კავსაძეს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა



რუსთაველის თეატრის მსახიობს კახი კავსაძეს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

ინფორმაცია ამის შესახებ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა გაავრცელა:

– ჩვენი თეატრის ერთგულ მაყურებელს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სურს დაესწროს სპექტაკლს „ანტუანი და პატარა უფლისწული“, გაცნობებთ, რომ ამ თვეში დაგეგმილ წარმოდგენაში ცვლილებაა.

ვინაიდან ყველასთვის საყვარელ მსახიობს, ბატონ კახი კავსაძეს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, გარკვეული პერიოდი სცენაზე თამაშს ვერ შეძლებს, თუმცა დაგეგმილი წარმოდგენები აუცილებლად შედგება.

კახი კავსაძეს მისი ვაჟი, ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, ირაკლი კავსაძე შეცვლის, რომელიც ვაშინგტონიდან საგანგებოდ მოემგზავრება საქართველოში.

იმედი გვაქვს, ბატონი კახი მომდევნო თვეებში დანიშნულ სპექტაკლებში თამაშს შეძლებს და მთელი თეატრის სახელით მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ!

რატი დურგლიშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ტრავმის გამო დატოვა

მომღერალმა რატი დურგლიშვილმა პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემების გამო დატოვა. კონკურსანტს ფეხის ტრავმა გაურთულდა.

ინფორმაცია ამის შესახებ პროექტის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– სამწუხაროდ, რატი დურგლიშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოეთიშა პროექტს. რატი დურგლიშვილი მადლობას გიხდით, რომ მიუხედავად ტრავმისა, შეუძლებელს აკეთებდი და მთელი ამ დროის მანძილზე ჩვენთან იყავი.

თავად მომღერალმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა:

– პირველივე ლაივზე მივიღე ტრავმა. როდესაც კონსულტაცია გავიარე ექიმთან, აღმოჩნდა, რომ ეს არის გენეტიკურია, სუსტი მუხლი მაქვს. მითხრა ისიც, რომ შეიძლება ჩაწყნარდეს, მაგრამ როდის იჩენს თავს, არ ვიციო. ლაივიდან ლაივამდე სულ ტკივილგამაყუჩებლებით მოვდიოდი. ბოლო ცეკვა იყო საოცრად რთული, მოძრაობებით დატვირთული და ვერ გაუძლო დატვირთვას ფეხმა. გადაწყვეტილება მივიღე, რომ საქმე სულ რომ არ გამეფუჭებინა, სჯობს გამოვეთიშო პროექტს. უღრმესი მადლობა თითოეული ესემესისთვის, თითოეული ზარისთვის, თითოეულ ადამიანს გულშემატკივრობისთვის. ეს ჩემთვის ყველაზე, ყველაზე ძალიან ძვირფასია. ეს იყო ულამაზესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც მთელი ცხოვრება გამყვება.

„მხოლოდ ქართულს“ ვაკო კრაწაშვილი გამოეთიშა

მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონი დაიწყო. ჟიურიმ საუკეთესო ათეული შეარჩია და პირველივე საკონკურსო ტურში მათ ჯანსუღ კახიძის სიმღერები ამღერა.

ხუთკაციან ჟიურის სოფო ნიჟარაძის, ლელა წურწუმიას, მარინა ბერიძის, გიორგი უშიკიშვილის და გიორგი გაბუნიას შემადგენლობით, მომღერალი ნანი ბრეგვაძე დაემატა.

კონკურსანტებმა ჯანსუღ კახიძის სხვადასხვა ცნობილი სიმღერა შეასრულეს. ნანი ბრეგვაძემ ყველა მათგანი შეაქო და არც მაღალი ქულები დაიშურა.

„მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის პირველივე საკონკურსო ტურში ყველაზე ამაღელვებელი ნოდარიკო ხუციშვილის გამოსვლა იყო. გიო ხუციშვილის შვილმა ჯანსუღ კახიძის სიმღერა „მუხამბაზი“ შეასრულა კინოფილმიდან „რაჭა ჩემი სიყვარული“ და ჟიურის წევრები აატირა. ნოდარიკომ ჟიურისა და მაყურებლის ერთობლივი შეფასებით 119 ქულა დააგროვა და რჩეულის ტიტულიც მოიპოვა.

პროექტს კი ვაკო კრაწაშვილი გამოეთიშა, რომელმაც ყველაზე დაბალი ქულები მიიღო.

ამ გადაწყვეტილებამ მაყურებელი გააღიზიანა, რადგან მათ იმედი ჰქონდათ, რომ პირველი სეზონის მსგავსად პირველივე კონკურსზე არც ერთ კონკურსანტს არ მოუწევდა შოუს დატოვება, რადგან ისინი სცენას ახლა ეჩვევიან და პროექტის ხელმძღვანელობა მათ შოუში დარჩენის შანსს მისცემდა.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „ყველანაირი შემოსავალი შემიმცირდა“

სიმღერების ავტორმა და მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა იმ უსამართლობებზე ისაუბრა, რომელიც მას და მის ოჯახს სრულიად დაუმსახურებლად დაატყდა თავს:

– ბიძინას მოყვანაში მეც მიმიძღვის წვლილი, მჯეროდა, რომ ნაციონალების შეცდომებს გამოასწორებდა და გვეშველებოდა...

იმის ნაცვლად უკეთესად მეცხოვრა, ყველანაირი შემოსავალი შემიმცირდა და ხარჯი გაორმაგდა. ამას უმუშევრობა დაემატა. ვიფიქრე, ჩემ თავს მე თვითონ მივხედავ-თქო და პატარა ბიზნესი წამოვიწყე. ნელ-ნელა ძვირდებოდა ყველაფერი, ფული რომ არ მეყო, ბინაც დავაგირავე და ბანკიდანაც გამოვიტანე. ავაწყვე, როგორც იქნა, ეს საქმე, პატარა ლამაზი საცურაო აუზი გამოვიდა, მაგრამ დაიწყო ჩემზე ზეწოლა. ყოველდღე ვიღაცას მიგზავნიდნენ, ყველა საბუთი წესრიგში მქონდა. ბავშვებს მიშინებდნენ. ერთხელ ჩავედი და 8 კაცი დამხვდა, თითქოს რაღაც ოპერაციას ატარებდნენ, ორი კარებთან, სამი აუზის ერთ მხარეს, დანარჩენიც ოთახებში. მე მეგონა, რამე მოხდა, შეშინებული ჩავედი და მეუბნებიან, წყლის ფული გაქვს გადასახდელიო და 2000 ლარი დამაწერეს.

ბავშვები და მშობლები ისეთი შეშინებულები დამხვდნენ, რომ ვიღა მოვიდოდა ჩემს აუზზე? ავდექი და მრიცხველი ექსპერტიზაზე წავიღე, თვითონაც თქვეს, ამდენი როგორ უნდა დაეწერაო? სადაც მითხრეს, რომ მართალი ვარ. დამტკიცდა, რომ არ მეკუთვნოდა 2000 ლარის გადახდა, მაგრამ აღიარებულ მრიცხველზე უკანონო ვალი მაინც არ ჩამომაწერეს. უკვე დაწერილიაო, ბოლოს ვიღაცების დავალებით, რომლებიც ვიცი, სადაც მოღვაწეობენ, ქართულ ოცნებაში, მეზობლები მომიგზავნეს. მშობლებს ხვდებოდნენ და აშინებდნენ, აუზი მაინც მალე დაიკეტება, არ ჩახვიდეთო. ის ბიზნესიც გაჩერდა.

ამას სითი-პარკის მიერ უკანონო (თვითონ აღიარა) ჯარიმა და ანგარიშების დაყადაღება დაემატა. რაც საქართველოს ბანკი არსებობს, მისი კლიენტი ვარ, არანაირი დარღვევა არ მქონია და ყადაღის შესახებ არც კი გამაფრთხილა, არც თავდები პირი დამანიშნინა, არც გადახდილი ფული ჩამითვალა, საურავი დამადო და 12 000 ლარში ყიდიდა 100.000 დოლარიან სახლს. ესეც შემთხვევით გავიგეთ. წინა დღეს სადარბაზოს კარზე მიკრული პატარა ზომის სტიკერზე ნინომ შემთხვევით წაიკითხა, რომ სახლი აუქციონზე იყიდებოდა. მეორე დღეს მივუსწარით. მოკლედ რომ გითხრათ, ორმაგი გადამახდევინეს და სახლი დავიბრუნე. ესეც ზუსტად ვიცი, ვის უნდოდა ჩემი სახლი. მაღალი თანამდებობის პირი ქალი იყო, რომელსაც უამრავი ბინა ჰქონდა დათრეული ამ მეთოდით. ჩუმად მითხრა აუქციონის ერთმა თანამშრომელმა. ამ საქმის გამო, ახლაც სასამართლოს ველოდები, რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცო!

მერე მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ ტენდერში მიგველო მონაწილეობა. მოვიგეთ, მაგრამ მოგებული ტენდერი აგვახიეს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. თავიდან ასეთ სისულელეს გვეუბნებოდნენ, შუქი გამოირთო და სხვებმა ვერ მიიღეს ტენდერში მონაწილეობაო, რომ აღარ მოვტყუვდით და დავამტკიცეთ, რომ არ ჩამქრალა, იმიტომ, რომ სხვებსაც ჰქონდათ სხვა ტენდერებში მაგ დროს მოგებული ან წაგებული, ბოლოს ესე გვითხეს, რომ „ჩვენ უკეთ ვიცი, ეს ფული როგორ დავხარჯოთო!“ 15 000 ლარიანი ტენდერი იყო მეტი კი არა და უამრავ ხალხთან გაგვიფუჭეს საქმე, ვის გამოყვანასაც ვაპირებდით ამ კონცერტში, რომ ჩამოგითვალოთ ამ ხალხის სია გაოცდებით, ისეთი პატივსაცემი ხალხია. სამწუხაროდ, სიტყვა არ შეგვასრულებინეს. ეს ჩემთვის დიდი დარტყმა იყო, სიტყვის არ შესრულებას სიკვდილი მერჩივნა, მაგრამ რას ვიზამთ, ჩაგვიშალეს ტენდერი და ყველა გაგებით მოეკიდა იმ ამბავს, რომ ჩვენი ბრალეულობა ამ საქმეში არ იყო!

ახლა გაიგეს, რომ ქობულეთში მაქვს პატარა სახლი და ქობულეთში მიჩივლეს, დამლაგებლის ფული გაქვს გადასახდელიო. წარმოგიდგენიათ, მე მეუბნებიან და კიდე ლიფტისო, სულ ერთი-ორი კვირით ჩავდივარ და დიდი ჯარიმა გეკუთვნისო 5 წლის განმავლობაში! მართალია მარტო მე არ მიჩივლეს, ჩემს მეზობლებსაც, ჰოდა, სასამართლოშია საქმე, მაგრამ მე ცალკე დამიბარეს სასამართლოდან, მაგრამ იქვე მომატყუეს. ოთახი, სადაც პროცესი უნდა გამართულიყო, 30-ის ნაცვლად 10 ნომერი მითხრეს და იმ მიზეზით, რომ დავიგვიანეთ, სანამ ოთახს ვეძებდით, გამოგვიცხადეს, რომ წავაგეთ დაგვიანების გამო და დაგვაკისრეს გადასახადი. ასევე იმ კომპანიასთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელთანაც არანაირი კავშირი არ გვქონდა! გავასაჩივრეთ ეს ყველაფერი და მაინც მოვიგეთ პროცესი.

მეტი რაღა მოგიყვეთ, ეს არის თქვენი სისტემა. ახლა რა ვქნა, ბიძინას ვაგინო თუ მთელ ქართულ ოცნებას? მართალი ვიქნები? რა თქმა უნდა, არა! მე ზუსტად ვიცი, ვინ რა დამიშავა, იმ ადამიანების სახელები, გვარები და სწორედ იმას ვაგინებ და პასუხს მოვთხოვ, როცა იქნება, ყველაფერზე. ვინც ასე მაწამა, დედებს მოვუ....ნავ. ამას ყველა დაინახავს და გაიგებს და მე კიდევ იმას მეკითხებიან, რა მოგივიდა, რატომ ხარ ოპოზიციაშიო, ჩემი მეგობრები?

ჯერ 9 წელი უმუშევარი ვიყავი, ამ 6 წელში სადაც მივედი, სამსახურიდან მიშვებდნენ. თავიდან ვერ ვხვდებოდი და მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ყველას დაგივლით და პირდაპირ გეუბნებით, პასუხს გაგებინებთ ჩემი ოჯახის ასეთი გამწარებისთვის. და კიდევ – რაღაც არ მახსენდება, ჩემი მეგობრები ოცნების სასტავიდან ზოგიერთების გამოკლებით, რომ გვერდში დამდგომოდნენ! ხოდა, შენი საქმე გააკეთეო რომ მეუბნებით, მე ჩემი საქმის კეთებაც ვიცი და გავაკეთებ და თქვენი საქმე რა არის? პროჭობა? ხოდა, აკეთეთ!

მე კი ამ ყველაფრის მერე ვიყავი დეპრესიაში, ჯანმრთელობაც ძალიან შემერყა, დიაბეტიანი ადამიანისთვის ამდენმა ერთად გადახდენილმა ამბავმა შედეგი გამოიღო, დეპრესიიდან დღესაც არ ვარ გამოსული... ყველა ვიცი სახელებით და გვარებით, არავის შევარჩენ არაფერს, ამის იმედი გქონდეთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სოფელ ფოკაში მოკლული მამაკაცის თანასოფლელებმა მკვლელობაში ბრალდებულს სახლი და ავტომობილები დაუწვეს

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკაში 33 წლის მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებულს სახლი და ავტომობილები დაუწვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დამწვარია სახლი, სათავსო და ორი ავტომობილი.

უწყებაში აცხადებენ, რომ მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახის წევრების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია და დაშავებული არავინ არ არის.

– 3 დეკემბერს მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით დაკავებულია ერთი პირი, რომლის სახლი, სათავსო და ოჯახის კუთვნილი ავტომობილები მოკლულის თანასოფლელებმა და ახლობლებმა ღამე გადაწვეს. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს. დანაშაული სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. პოლიციამ გუშინვე უზრუნველყო დაკავებულის ოჯახის წევრების უსაფრთხოება. მისი ოჯახის წევრებიდან დაშავებული არავინ არის, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში.

მკვლელობა ფოკაში მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1985 წელს დაბადებული ხ.ტ.-ს განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს, დაკავებულია ერთი პირი.

უწყების ცნობით, ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. „სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 1986 წელს დაბადებულმა გ.მ., წარსულში არსებული პირადი კონფლიქტის გამო, შურისძიების მოტივით, თანასოფლელი – ხ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა. პოლიციამ გ.მ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ნინოწმინდის რაიონში დააკავა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“, – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ჩინელი პარალიზებულ დედას 15 წელი ზურგით დაატარებდა

ჩინეთის მცხოვრები ვან სიანციანმა 15 წლის განმავლობაში პარალიზებული დედა საკუთარი ზურგით ატარა.

2003 წელს ვანის მამა, რომელიც ინვალიდ მეუღლეს უვლიდა, გარდაიცვალა და 22 წლის ახალგაზრდას მშობელზე ზრუნვის მთელი სიმძიმის საკუთარ თავზე აღება მოუხდა. სამსახურის დატოვება და ზურგზე მოკიდებული დედით მოგზაურობა მოუხდა, რათა სამსახური სადმე სხვა ქალაქში ეპოვა და რომლის წყალობითაც ის დედის მოსავლელად თანხას გამოიმუშავებდა. ქალის მანქანით ტარება შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ მას მწვავე ზღვის დაავადება აწუხებდა.

ვანმა სტაბილურ სამსახურს 2015 წელს ტანსაცმლის მწარმოებელ ფაბრიკაში მიაგნო. თუმცა ის ნახევარ წელში დაიხურა და ოჯახმა მშობლიურ სოფელ ფუნიუში დაბრუნება გადაწყვიტა. საბოლოოდ თანასოფლელებს მისმა ისტორიამ გული აუჩუყა და ვანს დამლაგებლის სამსახური გამოუძებნეს. ასევე დაეხმარნენ სოციალური დახმარების მიღებაში. მათი მხარდაჭერით ასევე მოხერხდა ვანის და მისი დედისთვის ბინის გამოყოფა.

ამ ისტორიის სოციალურ ქსელში გავრცელების შემდეგ კი, ინტერნეტ-მომხმარებლებმა ქალისთვის ინვალიდის ეტლის შესაძენად ფულის შეგროვება დაიწყეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2,6894
- ევრო — 3,0514
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4112
- 100 რუსული რუბლი — 4.0063

ამინდის პროგნოზი 5 დეკემბრისთვის

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

6 დეკემბრიდან

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი

წიგნი მოიცავს პერიოდს ქვის ხანის ადამიანიდან ქვეყნის გაქრისტიანებამდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ვახტანგ კიკაბიძემ რუსეთში 40.000 ევროდ იმღერა?



„ვახტანგ კიკაბიძემ პირობა არ შეასრულა: საიდუმლოდ იმღერა რუსეთში 40.000 ევროდ“ – ასეთი სათაურით გამოაქვეყნა სტატია რუსულმა გამოცემამ „ექსპრეს გაზეტა“.

სტატიის ავტორი გალინა უშკოვა წერს, რომ სანკტ-პეტერბურგში მდებარე რესტორან „შალიაპინში“ ბუბა კიკაბიძე საკმაოდ სოლიდურ ფასად – 40.000 ევროდ ერთ-ერთ წვეულებაზე 40-წუთიანი პროგრამით წარდგა.

ქართველი მსახიობი და მომღერალი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უარს ამბობს რუსეთში ჩასვლასა და კონცერტების გამართვაზე. რუსი ჟურნალისტი კი სანდრო წყაროზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ბუბა კიკაბიძემ თავისი სიტყვა გატეხა.

გალინა უშკოვამ ინფორმაცია რესტორან „შალიაპინში“ გადაამოწმა, სადაც ადმინისტრატორმა გოგონამ უპასუხა, რომ ადეკვატური პასუხის გაცემა არ შეუძლია.

მაშინ ჟურნალისტმა ბუბა კიკაბიძეს თბილისში დაურეკა. ქართველმა ხელოვანმა მას განუცხადა, რომ უკვე 10 წელია რუსეთში არ ყოფილა და იქ ჩასვლას არც მომავალში აპირებს.

– სანკტ-პეტერბურგში მდებარე რესტორან „შალიაპინის“ შესახებ არც კი გამიგია, არათუ იქ გამოვსულიყავი და მემღერა, – განმარტა ბუბა კიკაბიძემ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ელისაბედ II სიტყვა „ფეხმძიმობას“ ვულგარულად მიიჩნევს

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II სიტყვა „ფეხმძიმობას“ ვულგარულად თვლის და ამიტომ მას საკუთარ სიტყვაში არ ხმარობს და სხვა გამოთქმით ანაცვლებს.

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა აღნიშნავს, რომ ელისაბედ II-ს ამ სიტყვის პრინც ჰარის მეუღლის მეგან მარკლის მდგომარეობის მიმართ გამოყენება არ მოსწონს.

თავად დედოფალი ასეთ შემთხვევაში იყენებს გამოთქმას „საინტერესო მდგომარეობა“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მსოფლიო სამეფო ოჯახში ნამდვილი ბავშვების ბუმის მოწმე გახდა კეიტ მიდლტონის, ზარე ტინდალის წყალობით, რომელთაც ახლა უკვე მეგან მარკლი დაემატება.

სამეფო ოჯახი სწრაფად იზრდება: ელისაბედ II უკვე რვაჯერ გახდა ბებია და შვიდჯერ დიდი ბებია. მომავალ წელს ის მერვედ გახდება დიდი ბებია, როდესაც პრინც ჰარის და მეგან მარკლს პირველი ბავშვი შეეძინებათ.

იუმორი

დეპუტატი დარბაზში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სიტყვით გამოდის:

– ამ ბოლო დროს მოსწავლეებმა არასანქცირებულ მიტინგებზე დაიწყეს სიარული. ჩემი წინადადებაა, ასეთი მოსწავლეების მშობლებს, მშობლის უფლება უნდა ჩამოერთვათ...

ამ დროს დარბაზიდან ერთ-ერთი დამსწრე კითხულობს:

– და თქვენი შვილი რომ მივიდეს ასეთ მიტინგზე?

– ჩემი შვილი ვერ მივა, ლონდონში სწავლობს.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– მართალია, რომ რუსეთში შეიძლება იუთუბი აკრძალონ?

– რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია, ეს თავისუფალი ქვეყანაა, აქ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს!

●●●

კვლევების შედეგად დადგინდა აცრების შემდეგ ყველაზე პოპულარული კითხვები:

მამაკაცი – დალევა შეიძლება?

ქალი – ბანაობა შეიძლება?

აქედან დასკვნა: ქალების ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჭუჭყიანია, ხოლო მამაკაცის იმაში, რომ ფიზიზელია.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, გახდაზე ვითამაშოთ.

– შენთვის ნახვაა საინტერესო, თუ მერე თავის მოწონება?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენ ქმარს რითი ანებივრებ?

– ზოგჯერ არ ველაპარაკები.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ეს წელი როგორი იყო შენთვის?

– შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული.

– მაინც რითი?

– არც ცოლი მომიყვანია და არც იპოთეკა ამილია.

●●●

მთავრობის მეთაური მოადგილეს ეკითხება:

– ახალ ბიუჯეტში მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატება გაითვალისწინეთ?

– რა თქმა უნდა, ჩვენო მასწავლებელო...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

- გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
- ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
- კანის დაავადებები
- უროლოგია
- გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ტრამპს ახალგაზრდობაში ელვის პრესლის ადარებდნენ



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ახალგაზრდობაში მას ხშირად მომღერალ ელვის პრესლის ადარებდნენ.

ამის შესახებ პრეზიდენტმა იმ დროს განაცხადა, როდესაც ქალაქ ტიუპელოში, სადაც 1935 წელს მომღერალი დაიბადა, საკუთარი მომხრეების წინ სიტყვით გამოდიოდა.

– ამას არ უნდა ვამბობდე, მე ცხვირაწეულს მეძახიან, მაგრამ ასეთი სულაც არ ვარ. თუ ჩემ ღია ფერის თმებს არ მივიღებთ მხედველობაში, როდესაც მოზარდი ვიყავი, ელვის პრესლის მადარებდნენ, – განაცხადა ტრამპმა.

მისი თქმით, მას ასეთი შედარება ყოველთვის დიდ შექებად მიაჩნდა.

ჯეკი ჩანის ქალიშვილმა ერთსქესიანი ქორწინება გააფორმა

ცნობილი მსახიობის ჯეკი ჩანის ქალიშვილმა ეტა უ ჩჟოლინმა კანადელ მოდელ ენდი ოტომთან ერთსქესიანი ქორწინება გააფორმა. ამის თაობაზე ინფორმაცია მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

19 წლის ჩჟოლინმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც მას და ოტომს საქორწინო სერთიფიკატი უკავიათ, სადაც წერია, რომ ქორწილი 8 ნოემბერს ტორონტოში შედგა.

– თუ თქვენ უარს არასოდეს იტყვით საკუთარ სიყვარულზე და მთელ თქვენ სულსა და გულს ოჯახში ჩადებთ, რომელზეც ოცნებობდით, გახსნილი გონება და მხურვალე გული დაგეხმარებათ ბედნიერების მიღწევაში, – დაწერა ჯეკი ჩანის ქალიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ 2017 გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეტა უ ჩჟოლინმა თავის მოკვლა სცადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უღრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 2. პატარა ბუ; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 5. იტალიელი მოდელიერი; 8. აეროპორტი პრაღაში; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. ქვის, ღორღის დამქუცმაცებელი მანქანა; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. ბრაზილიელი მწერალი.

თარაზულად: 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. აზოტმჟავის მარილი; 9. წყალქვეშა სამუშაოებისათვის განკუთვნილი ჰერმეტული კამერა; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ქართული ნაციონალური კერძი; 13. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 19. ჩრდილო ამერიკაში ბინადარი დიდი დათვი; 20. პარიზის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა